საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№120 (9800) 2024 წლის 21 ოქტომბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი

ბიძინა ივანიშვილი:

„სულს მივცემ ჩემსას მე იმას მარტო, ვინც საქართველოს ესწრაფვის ქართულს! არა ცრუქართულს! ნამდვილად ქართულს! სიტყვითურთ ქართულს! საქმითურთ ქართულს“!

იხ. მე-2-3 გვ.

მუხრან მაჭავარიანი

19 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო, რეგიონული შეხვედრა გაიმართა ქუთაისში. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა და შეხვედრას მოდერატორობდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ირაკლი ქარსელაძე.**

ტრადიციისამებრ შეხვედრაზე გამოვიდნენ პარტიის ლიდერები: **ირაკლი ღარიბაშვილი,** პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე; **მამუკა მდინარაძე,** პარლამენტის წევრი და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი; **კახა კალაძე** თბილისის მერი და პარტიის გენერალური მდივანი; პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი;** პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** და პარტიის საპატიო თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილი.**

ყველა მათგანის გამოსვლა, კარსმომდგარი არჩევნების პრინციპულად მაღალ დონეზე, სამართლიანად, დემოკრატიულად ჩატარებას და ქართული ოცნების უპირობო გამარჯვებასეძღვნებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა 125



5

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი – 125

„დიდი მშვიდობა“ დანის პირზე

4

1993, რა მოხდა ნინოწმინდაში

8

არჩევნები ქართველი ხალხის ხელშია!

ევროკავშირი ღიაა მუშაობისთვის ნებისმიერ მთავრობასთან!

ქართული არჩევნები სრულიად ქართველი ხალხის ხელშია. ევროკავშირი არ არის ჩართული საპარლამენტო არჩევნებში და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას მხარს არ უჭერს, – ამგვარი პასუხი მიიღო „ქრონიკამ“ ევროკავშირის საელჩოდან სალომე ზურაბიშვილის განცხადებასთან დაკავშირებულ კითხვაზე.

„თქვენს კითხვაზე გპასუხობთ, რომ ევროკავშირის დელეგაცია იმეორებს იმას, რაც ბევრჯერ უთქვამს, რომ ქართული არჩევნები სრულიად ქართველი ხალხის ხელშია. ევროკავშირი არ არის ჩართული საპარლამენტო არჩევნებში და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას მხარს არ უჭერს.

ჩვენ აგრეთვე ვიმეორებთ, რომ ევროკავშირი ღიაა კონსტურქციულად მუშაობისთვის ნებისმიერ დემოკრატიულად არჩეულ მთავრობასთან.

რაც შეეხება მომავალ მთავრობას, რომელიც განაახლებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს, ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ძირითად ფასეულობებზე დაყრდნობით, რაზეც დგას ევროკავშირი: თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები”, - აღნიშნულია საელჩოს პასუხში.

ევროკავშირი!
არც ერთ პოლიტიკურ პარტიას მხარს არ უჭერს!

ავთანდილ არაბული

ნორმატიული გრამატიკა: ისტორია და თანამედროვე ვითარება

6–7

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა ქალაქ ქუთაისში „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე.

მივესალმები ქუთაისს, ჩემს მშობლიურ იმერეთს და უსაყვარლეს იმერლებს!

მივესალმები განსაკუთრებული სიტყვა-პასუხით და სტუმარ-მასპინძლობით განთქმულ ხალხს! მივესალმები ერთ-ერთ უძველეს ევროპულ ქალაქს, ქუთაისს, რომელიც თავად არის ისტორია, კულტურა, საქართველო!

ჩვენი ქვეყნისთვის ქუთაისი მთავარი დასაყრდენი იყო ოდითგან! სწორედ ქუთაისში ეკურთხა მეფედ დავით აღმაშენებელი, სწორედ ქუთაისიდან დაიწყო ჩვენმა უდიდესმა წინაპარმა ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და სწორედ ქუთაისი იყო ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა!

გელათის აკადემია და ქუთაისის კლასიკური გიმნაზია; აკაკი წერეთელი, ზაქარია ფალიაშვილი, ცისფერყანწელები და, რა თქმა უნდა, გალაკტიონი! თითქოს მეტი რა უნდა მისცეს ქართულ კულტურას ერთმა კუთხემ, ერთმა მხარემ, მაგრამ ქუთაისმა და იმერეთმა გაცილებით, გაცილებით მეტი შეძლო. ბოლოს და ბოლოს, ხომ ვიცით, რომ სულ რაღაც საუკუნის წინ, სწორედ ქუთაისმა შესძინა თბილისის კულტურულ ცხოვრებას ახალი სიცოცხლე! ამ ქალაქის საამაყო შვილი, დიდი რეზო გაბრიაძე ამბობდა - „მაშინაც კი, როდესაც პარიზზე ვწერ, მაინც ქუთაისზე დაწერილი გამომდის... ქუთაისელები მსუბუქად იღიმებიან, მსუბუქად ტირიან, მათი გრძნობები და ურთიერთობებიც უფრო მსუბუქია“... დავამატებდი, რომ როდესაც საქმე სამშობლოს, ღირსებას და ჩვენი ქვეყნის მომავალს ეხება, ამ ქალაქისა და კუთხის შვილები ყოველთვის განსაკუთრებული პრინციპულობით და სიმკაცრით გამოირჩევიან!

ასე იყო 2012 წელსაც, როდესაც საქართველოს და ზოგადად, ქართველების ყოფნა-არ ყოფნის საკითხი წყდებოდა, როდესაც ქვეყანაში ჯოჯოხეთური ტერორი იყო გამეფებული და ადამიანებს აზრის გამოთქმისა და პროტესტის გამოხატვის კი არა, თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

დღეს აქ უამრავ ჩვენს ძველ და უკვე ახალ თანამებრძოლს ვხედავ, რომელთაც, ისე, როგორც ჩვენს ხალხს, არ სჭირდება იმის ახსნა, თუ როგორ ქვეყანაში ვცხოვრობდით 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, თუმცა ახალგაზრდების ნაწილს, რომელთაც შესაძლოა აფიქრებინონ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის შეფასება გადაჭარბებულია, მოკლედ შევახსენებ:

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როდესაც ძალაუფლება გარედან მართული რეჟიმის ხელში იყო კონცენტრირებული, საზოგადოებაზე წნეხი და ძალადობა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, კერძო საკუთრების წართმევა და მითვისება, მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევა საქართველოს ყოველდღიურობად იყო ქცეული! იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს ღირსება წაართვა, ციხე და მართლმსაჯულების სისტემა წამების ინსტრუმენტად აქცია, ხოლო თუკი ვინმეს განსხვავებული პოლიტიკური აზრი ჰქონდა, უკანონო პატიმრობითა და ჯოჯოხეთის გამოტარებით სჯიდა!

მკვლელობა და წამება რომ არ აკმარეს მოსახლეობას, 2008 წელს უარესი ტრაგედიაც დაატრიალეს, ქვეყანას უღალატეს და საქართველო ომში ჩაითრიეს, რასაც დამატებით ტერიტორიების დაკარგვა, ათეულობით ათასი დევნილი, ასზე მეტი დაკარგული სოფელი, ასობით გმირი მებრძოლისა და მშვიდობიანი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

ბიძინა ივანიშვილი:

„სულს მივცემ ჩემსას მე იმას მარტო, ვინც საქართველოს ესწრაფვის ქართულს! არა ცრუქართულს! ნამდვილად ქართულს! სიტყვითურთ ქართულს! საქმითურთ ქართულს“!

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ კი, ამ ხალხმა კვლავ გააგრძელა ანტიეროვნული პოლიტიკა და ახლა უკვე საზოგადოების გახლეჩის, არეულობისა და გადატრიალების მოწყობის მუდმივი მცდელობებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს, მათ შორის ევროინტეგრაციის კუთხით!

ქართველი ხალხის მიერ ძალაუფლებაჩამორთმეული „ნაციონალური მოძრაობა“ დამოუკიდებლად, ამას, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა... მათი უცხოელი პატრონების მხარდაჭერით, ეს ანტისახელმწიფოებრივი ძალა, დღეს უკვე - კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც, რეალურად, უსამშობლოებისა და კრიმინალების უკანასკნელი თავშესაფარია, იქცა საქართველოს გრძელვადიანი და სტაბილური განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად. დაჯგუფებად, რომელიც ვიწროპარტიული პოლიტიკური ინტერესებისა და უცხოელი პატრონების დავალებების გათვალისწინებით, მზადაა საქართველოში მეორე ფრონტი გახსნას. დაჯგუფებად, რომლის გამოც ქართული პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება ვერ ხერხდება და უკვე წლებია, ჩვენს მოქალაქეებს არა კარგსა და უკეთესს, არამედ კარგსა და ცუდს შორის უწევთ არჩევანის გაკეთება!

მათ კრიმინალურ და ანტისახელმწიფოებრივ ბუნებასა და დანაშაულებზე კიდევ დიდხანს, დიდხანს შეიძლება საუბარი, თუმცა, მათ რაობაში ბრძენი ქართველი ხალხი უკვე დიდი ხანია, დარწმუნდა. სწორედ ამას მოწმობს ის, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, „ქართული ოცნება“ ქართველი ხალხის ერთადერთი, უალტერნატივო არჩევანია!

ალბათ გახსოვთ, რომ 12 წლის წინ, თქვენ წინაშე სიტყვით გამოსვლისას, ქუთაისში, საქართველოს მამა-ქალაქში, დავდეთ პირობა, რომ ერთად ვიბრძოლებდით ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი უფლებებისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის... პირადად მე სიტყვა მოგეცით, რომ იმ უთანასწორო ბრძოლაში ბოლომდე თქვენ გვერდით ვიდგებოდი!

ჩვენი ერთობით, სიმართლით და ერთმანეთის რწმენით გავიმარჯვეთ და შევძელით ყველასთვის დაგვენახებინა, რომ საქართველო იყო, არის და იქნება თავისუფალი ადამიანების სამშობლო, დემოკრატიული, განვითარებული ქვეყანა, სადაც ვერავინ–ვეღარასოდეს შეძლებს ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას!

ამ დღიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ავაშენეთ სახელმწიფო, რომელიც ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანის, თითოეული მოქალაქის ღირსებას ეფუძნება, განურჩევლად მისი ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ტიპის კუთვნილებისა. შედეგად, ვცხოვრობთ დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებულ ქვეყანაში, სადაც დაცულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, დამოუკიდებელი მედია, ხელშეუხებელი ბიზნესი... ხალხი თავისუფლად სუნთქავს და აღარავის აქვს პოლიტიკური დევნის შიში.

„ქართულმა ოცნებამ“ შეძლო, რომ გააზრებული პოლიტიკით, კარგად გათვლილი რეფორმებით საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვლილიყო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პრინციპულად გავაუმჯობესეთ მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, იქნება ეს ადამიანის უფლებები, სასამართლო, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, განათლება თუ სხვა.

მოგეხსენებათ, 7 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას უკვე გააცნო ჩვენი გუნდის მიღწევები და ამბიციური, თუმცა რეალისტური პროგრამა, რომელიც საოცრად შთამბეჭდავია და უზომოდ სასიხარულოა საქართველოს თითოეული პატრიოტისთვის!

მაგრამ, თუკი მავანი „ქართული ოცნების“ პროგრესს არ ხედავს, ან ჩვენს სტატისტიკას და მონაცემებს არ ენდობა, შეუძლია გადახედოს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგებს, რომლებშიც ჩვენი ქვეყანა წინ და წინ მიიწევს. ამაზე მათუმსა და ზუგდიდში გამართულ შეხვედრებზე უკვე დეტალურად ვისაუბრე; საქართველოს მოსახლეობა ამას საკუთარი თვალით ხედავს და უკიდურესად მიკერძოებული ოპონენტიც კი ვერ გაბედავს ჩვენი გუნდის მიერ 11 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის

26 ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობას მარტივი არჩევანი აქვს გასაკეთებელი – ან კოლექტიური რადიკალური ოპოზიცია, სადაც თავმოყრილნი არიან უსამშობლო მოღალატეები, რომელმაც საკუთარი თავი ომის, არეულობის, ძალადობის, ტყუილისა და უცხო ინტერესების მორჩილების სიმბოლოდ აქციეს — ან „ქართული ოცნება“, ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც წლებია, ემსახურება ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და არის კეთილდღეობის, სტაბილურობის და ღირსეული ევროპული მომავლის გარანტი.



უარყოფას, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებიც უმაგრებს ზურგს. ამ კვლევების მიხედვით კი, საქართველო ხან საუკეთესო ქვეყნების ხუთეულშია, ხან სამეულში, ზოგჯერ კი სულაც საუკეთესოა მსოფლიოში! სწორედ „ქართული ოცნების“ სწორი პოლიტიკის შედეგია წარსულის შთამბეჭდავი მიღწევები და მსოფლიო სავალუტო ფონდის ის სამომავლო პროგნოზი, რომლის თანახმადაც, ათწლიანი ზრდის სამი მთავარი მიმართულებით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს საუკეთესო სამეულშია!

ეს იმას ნიშნავს, რომ 2030 წლისთვის, მაღალი ალგათოზით, საქართველო გახდება მაღალშემოსავლიანი სტატუსის მქონე ქვეყანა მსოფლიო განკის გრადაციით და ჩვენ ამაყად, თავაწეულნი შევაგიჯებთ ევროკავშირის მდიდარი ქვეყნების რიგში.

რაც ყველაზე მთავარია, ამ პროგრესის მთავარი წინაპირობა გახლავთ ის, რომ „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდა ერთადერთ პოლიტიკურ ძალად საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელმაც ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაშიც კი, რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე, ქვეყანას ასე სანუკვარი რამ–12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა!

ეს არის ფაქტობრივი მოცემულობა, რომლის დამალვას, დამახინჯებას და იგნორირებას ცდილობენ ჩვენი ოპონენტები, თუმცა ქართველი ხალხი ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, 26 ოქტომბერს, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დგება დღე, რომელსაც ისეთივე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს, რადგან 26 ოქტომბრის არჩევნები ერთგვარი რეფერენდუმია, რომელზეც არა მხოლოდ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“, არამედ მათ უცხოელ პატრონებს, საგოლოო ჯამში კი მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა ერთხმად ირჩევს არა ომს, არამედ მშვიდობას; არა ფსევდო-ლიბერალურ, თავსმოხვეულ ღირებულებებს, არამედ ოჯახურ ფასეულობებს, რწმენას და ტრადიციებს; არა სხვა ქვეყნების უპირობო მორჩილებას, არამედ სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას; არა ცალ ფეხზე დგომას - არამედ ღირსეულ ევროპულ მომავალს; არა საკუთარი ქვეყნისთვის ომის ტრაგედიის თავს დატეხას, არამედ ურთიერთშერიგების, საკუთარი ძმედებების გააზრებისა და ერთმანეთისთვის ხელის გაწვდენით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას!

იმისთვის, რომ გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილური განვითარება უზრუნველვყოთ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა საჭირო! საზოგადოების მხრიდან მონიჭებული ამ ხარისხის ლეგიტიმაცია, ფაქტობრივად, ჩანასახშივე ჩაახშობს რევოლუციისა და გადატრიალების გზით ძალაუფლების დაბრუნების, შემდეგ კი საქართველოს ომში ჩართვის მიზნის მქონე კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი უცხოელი პატრონების გეგმებს!

ამას გარდა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნის უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტის დონეზე ავკრძალავთ და საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი, მათ შორის ომის დანაშაულის გამო, კანონის სრული სიმკაცრით ვაგებინებთ პასუხს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის სატელიტ თუ მემკვიდრე პარტიებს.

ქუთაისში ვიმყოფებით და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ქალაქის შვილებს, რომლებიც ქართულ კულტურას უკვე საუკუნეებია, ამდიდრებთ, არ გესწავლებათ, რომ ერის მთავარი დასაყრდენი ის ღირებულებები და ფასეულობებია, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების განმავლობაში შემოგვინახეს.

საქართველოში მოქმედ „არასამთავრობო ორგანიზაციებსა“ და პოლიტიკურ პარტიებში გაბნეული ფსევდო-ლიბერალური იდეოლოგიის მქონე აგენტურის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეც სწორედ ეს არის - მათ ზუსტად იციან, რომ ერის დაკნინება და მარტივად დამორჩილება მხოლოდ საკუთარი წარსულის დავიწყებით, ისტორიის გაუფასურებითა და მორალური პრინციპების გაბუნდოვანების გზით არის შესაძლებელი. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება გვჭირდება, რათა არასრულწლოვანთა ინტერესებისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხი კონსტიტუციის დონეზე გავამყაროთ!

ბუნებრივია, ის ხალხი, ვინც ჩვენს ტრადიციებს ებრძვის, განსაკუთრებულ აგრესიას იჩენს ჩვენი თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენის - მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. არადა, ჩვენი ქვეყნის ევროპულობა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ იმან განსაზღვრა, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა! მჯერა, რომ განსხვავებულის მიმღებლობა და ტოლერანტობა, ასე კარგად რომ ახასიათებს ჩვენს ერს, ქართველი კაცის ხასიათთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში, ჩვენში ღრმად გამჯდარი ქრისტიანული რწმენის დამსახურებაა.

ამიტომაც, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, მართლმადიდებლური ეკლესიის გაძლიერებისა და დაცვის მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამთ და ამ საკითხს კონსტიტუციაში ავსახავთ! თუმცა, რა თქმა უნდა, ამით საქართველოში მოქმედი არც ერთი რელიგიური კონფესიის უფლება მინიმალურადაც კი არ შეიზღუდება, რისი გარანტიც იყო, არის და იქნება „ქართული ოცნების“ ხელისუფლება.

დასასრულს კი, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რის გამოც არჩევნებზე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ და „ქართულ ოცნებას“ დავუჭიროთ მხარი - რეგიონში და მთლიანად - მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე, ნებისმიერ მომენტში შესაძლოა გაჩნდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა! ამიტომაც, არავის უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ საჭირო დროს, წინ აღუდგეს საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანებისთვის არის აუცილებელი, რადგან თავადაც კარგად იცით, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოსთვის სასარგებლო თითოეულ საქმეს ეწინააღმდეგება, ყველაზე დიდ აგრესიას კი ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობით, შერიგებითა და ურთიერთმიტევების გზით აღდგენის წინააღმდეგ გამოხატავენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 26 ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობას მარტივი არჩევანი აქვს გასაკეთებელი – ან კოლექტიური რადიკალური ოპოზიცია, სადაც თავმოყრილნი არიან უსამშობლო მოღალატეები, რომელმაც საკუთარი თავი ომის, არეულობის, ძალადობის, ტყუილისა და უცხო ინტერესების მორჩილების სიმბოლოდ აქციეს - ან „ქართული ოცნება“, ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც წლებია, ემსახურება ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და არის კეთილდღეობის, სტაბილურობის და ღირსეული ევროპული მომავლის გარანტი.

ქართველებს, ამ ქვეყნის შვილებს, არაფრის გვეშინია. არც წარსულის, იმიტომ, რომ სახელოვანი წინაპრები და ისტორია გვიმაგრებს ზურგს და არც მომავლის, იმიტომ, რომ ეს მომავალი ჩვენს ხელშია!

ვფიქრობ, განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში, მნიშვნელოვანია გამოვიჩინოთ სტრატეგიული სიფრთხილე, იმერული გონიერება, შევძლოთ მობილიზება და კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ საქართველო, შემდეგ კი ჩვენივე დაწყებული საქმე ერთად მივიყვანოთ ბოლომდე და ღირსეულად, თავაწეულებმა შევაბიჯოთ ევროპის ღირსეულ ოჯახში!

დაბოლოს, თქვენ წინაშე გამოსვლა ჩემი კუთხის შვილის, ყველასთვის უსაყვარლესი მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით მინდა დავასრულო:



სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო,
ვინც საქართველოს
ესწრაფვის ქართულს!
არა ცრუქართულს!
ნამდვილად ქართულს!
სიტყვითურთ ქართულს!
საქმითურთ ქართულს!

ჩემო იმერლებო – 26 ოქტომბერს, სამუდამოდ დავასრულოთ ცრუ ქართველების ბოგინი ჩვენს საქართველოში.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან და გაბრწყინებულ საქართველოს! დმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

19.X.2024

რა ევროპა, რის ევროპა! — შეხედეთ, რა დღეშია უკრაინა!

ტიერი მარიანი:

ათი წლის წინ მაიდანზე ევროპარლამენტარები ამბობდნენ, იანუკოვიჩის მთავრობას თუ გადააყენებთ, ხვალ ევროპაში იქნებითო. არიან ევროპაში? შეხედეთ იქ არსებულ მდგომარეობას

მახსოვს ზუსტად ათი წლის წინანდელი მაიდანი, სადაც ევროპარლამენტარები იდგნენ მოედანზე და ამბობდნენ, თუ იანუკოვიჩის მთავრობას გადააყენებთ, ხვალ ევროპაში იქნებითო. ათი წლის შემდეგ, არიან თუ არა ევროპაში? შეხედეთ უკრაინაში არსებულ მდგომარეობას, – ამის შესახებ ფრანგმა ევროპარლამენტარმა ტიერი მარიანმა „იმედის“ ეთერში, გადაცემაში „არჩევანის პირისპირ“ განაცხადა.

მისივე თქმით, როგორიც არ უნდა იყოს საქართველოს არჩევანი, ქართველები დარჩებიან, ხალხად, რომელსაც აქვს მოწოდება, იყოს დიდი ევროპული ოჯახის ნაწილი.

„ასეთი განცხადებების გაკეთება ნიშნავს „მოისმინეთ ქართველებო, თქვენ ჩვენი მეგობრები იქნებით, თუ ხმას მისცემთ იმას, რასაც მე მინდა“. ეს ასეა. ვფიქრობ, პირველ რიგში, გეოგრაფია არ იცვლება. როგორიც არ უნდა იყოს ხელისუფლება საქართველოში, როგორიც არ უნდა იყოს მთავრობა ან მთავრობები ევროპაში, საქართველო ყოველთვის დარჩება იმავე გეოგრაფიულ პოზიციაში. საქართველოს ეყოლება იგივე მეზობლები. საქართველო ყოველთვის იქნება ევროპის დიდი საზოგადოების ნაწილი, მე არ ვსაუბრობ ევროკავშირზე, არამედ ევროპაზე. ჩემი აზრით, საქართველოს ყოველთვის ექნება ევროპული მოწოდება. იმის თქმა, რომ „თუ არ აირჩევთ ამ ხელისუფლებას, დაგასანქციირებთ, აღარ იქნება უვიზო მიმოსვლა“, საქართველოში ყველა ჭკვიანი ადამიანი მიხვდა, **რომ ეს იყო უცხოური ჩარევა, შანტაჟი. ყველა მიხვდა, რომ თქვენ გეუბნებიან: „დაგვემორჩილეთ, თორემ დაისჯებით“.**

ვფიქრობ, ასე არ ხდება, როცა ვსაუბრობთ, როცა ადამიანებს პატივს ვცემთ. მე ევროპის მომხრე ვარ. როგორიც არ უნდა იყოს საქართველოს არჩევანი, ვფიქრობ, რომ ქართველები დარჩებიან ქვეყნად, ხალხად, რომელსაც აქვს მოწოდება იყოს დიდი ევროპული ოჯახის ნაწილი, შესაძლოა არა ახლავე, შესაძლოა არა ხვალვე. მაიდანის მოვლენები მახსოვს. მე 1993 წლიდან ვარ დეპუტატი, მახსოვს ზუსტად ათი წლის წინ მაიდანი, სადაც ევროპარლამენტარები იდგნენ მოედანზე და ამბობდნენ: „თუ იანუკოვიჩის მთავრობას გადააყენებთ, ხვალ ევროპაში იქნებითო“. ათი წლის შემდეგ, არიან თუ არა ევროპაში? შეხედეთ უკრაინაში არსებულ მდგომარეობას“, – განაცხადა ტიერი მარიანმა.

დონალდ ტრამპი:

უკრაინაში ომი არასდროს არ უნდა მომხდარიყო!

რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს მოაგვარებს. ამის შესახებ მან პატრიკ ბეთ-დევიდთან პოდკასტში ისაუბრა.

„მე შევხვდი ზელენსკის ამას წინათ. მაქვს კარგი ურთიერთობა როგორც პუტინთან, ასევე ზელენსკისთან,“ – განაცხადა ტრამპმა.

რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ომი არასდროს უნდა მომხდარიყო და მისი მასშტაბები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ოფიციალურად ცხადდება.

„მილიონობით ადამიანია დაღუპული, გაცილებით მეტი, ვიდრე თქვენ კითხულობთ,“ – აღნიშნა მან.

ტრამპმა ასევე განაცხადა, რომ ის, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო, ეს ომი არ დაიწყებოდა.

„პუტინი ამას არასდროს გააკეთებდა. ომი არასდროს მოხდებოდა“, – დასძინა ტრამპმა.

„დიდი მშვიდობა“ დანის პირზე

ხელისუფლების წარმომადგენლები საგანგებოდ უსვამენ ხაზს, რომ წინასაარჩევნო დღეები ქვეყანაში მშვიდად, საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს. ოპოზიცია ამას თავისებურ გამართლებას უძებნის: ხელისუფლება სპეციალურად ქმნის ასეთ შთაბეჭდილებასო. დაახლოებით ისე, როგორც ჰებელსი უპატაკებდა ჰიტლერს ბერლინზე შტურმის წინ, პანიკით მოცული რუსები შიშით გვიტევენო.

კი, ქუჩებში სიმშვიდეა, ეს აშკარაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს სიმშვიდე მოჩვენებითია, თორემ ჰაერი რომ დანების ლესვის ხმით არის გაჯერებული, ნაღდია. ჩართეთ ნებისმიერი ოპოზიციური ტელევიზია და ხელისგულზე გადაგეშლებათ, რამდენად „მშვიდობიანია“ ოპოზიციის საარჩევნო მზადება. აქ განსაკუთრებით თვალშისაცემია სალომე ზურაბიშვილის მიერ დაანონსებული 26 ოქტომბერს პრეზიდენტის სასახლეში (სახელმწიფო ინსტიტუტში!-ა.ა.) „კოლექტიური ნაცმოძრაობის საარჩევნო შტაბის გახსნა და გამარჯვების ერთად ზეიმი“ (თუნდაც ამ განცხადების შემდეგ შესაძლოა ქალბატონმა სალომემ რეალურად გამოჰკრას ხელი შეპირებულ იმპიჩმენტს). ჯერ ერთი, მოუკლავი დათვის ტყავს იყოფს თანამებრძოლებთან, მეორეც, ვინ ჰკითხავს მას–პრეზიდენტს საარჩევნო შტაბის შექმნას და მელიტონ ქანთარიასავით გამარჯვების დროშის ფრიალს.

მთავარი კი ის არის, რომ ოპოზიციამსხვილფეხა რქოსანიცა და წვრილფეხაც, ელოდება არა 26 ოქტომბერს, არამედ 27-ს, რათა გარიჟრაჟიდანვე აკივლდეს ფეხმოტეხილი ძაღლივით, გვიშველეთ, გააყალბესო და საომარ რიგებად დაძრან თვეობით ნაკოწიწები ევროპატრიოტები, რათა გაამართლონ დასავლეთიდან თუ კიდევ უფრო შორიდან შემოპარებული თანხები და ქვეყნის მთელი საზღვრის გასწვრივ აგებული მტრული კედელი...

არჩევნების მოახლოებასთან ერთად ევროპა სულ უფრო ემსგავსება არამკითხე მეზობელს, რომელსაც თურმე შენს სიყვარულში ამოსდის სული. ელჩებიც კი მოულოდნელად იმ ენაზე ალაპარაკდნენ, რომელზეც არამც და არამც არ უნდა ლაპარაკობდნენ.

თუმცა, ელჩისა რა უნდა გაგიკვირდეს, როცა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანა ლიურმანმა პირდაპირ გაგვილაწუნა, მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროკავშირში გაწევრების გზაზე, ოღონდ ეს არ ეხება მის ამჟამინდელ ხელისუფლებასო. რატომ, დედავ და თვალო, რატომ, ხელისუფლება ხალხს არ წარმოადგენს?!

აღარაფერს ვამბობ აშშ-ის საელჩოს განცხადებებსა და კომიკურ „ქარდებზე“.

ახლა გაერთიანებული სამეფოს ელჩმაც გვიკბინა, გავყინეთ ყოველწლიური მაღალი რანგის „უორდროპის დიალოგი“ მინისტრებს შორის, ასევე გავაუქმეთ თავდაცვის შტაბებს შორის დაგეგმილი მაღალი რანგის მოლაპარაკებები და შევაჩერეთ ახალი კიბერუსაფრთხოების პროგრამაო. რაც მთავარია, ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება პროდასავლურ კურსს დაუბრუნდება და მხარეებს შორის ნდობა აღდგება. ანუ თავიდანვე გამორიცხავს არჩევნებში „ოცნების“ გამარჯვებას!

ეს კიდევ რაა. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის საქმეებში ჟოზეფ ბორელმა მძიმედ დაგვარტყა, საქართველო დამთრგუნველ სურათს წარმოადგენს, მმართველი პარტიის ბოლოდროინდელი ქმედებები და საარჩევნო დაპირებები ქვეყანას ევროპული გზიდან აშორებს და ავტორიტარიზმისკენ გადახრაზე მიუთითებსო. სწორედ ამიტომ ევროკავშირში გაწევრების პროცესი დე ფაქტო შეჩერებულიაო.

ბატონ ბორელს, ნეტავ, ბევრი აქვს ისეთი საარჩევნო დაპირება ნანახი, როგორიც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა? ალბათ, არა, მაგრამ მაინც აბრალებს მას „ევროპული გზიდან დაშორებას, ავტორიტარიზმიკენ გადახრას“! ეს ბრალდებები უკვე ტრაფარეტად იქცა და ამ დღეებში ამ ტრაფარეტით უშუალოდ ევროკავშირმაც გვირქინა, ახლა გაჩუმების დრო არ არის, საქართველოს შველა სჭირდება, ქართული საზოგადოება საფრთხის წინაშეაო!!!.

ეუთო წინასაარჩევნო ანგარიშში ასახავს იმ „სისტემატურად და ფუნდამენტურად უსამართლო და უთანასწორო გარემოს“, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს თურმე შექმნილი.

ცხადია, ყველა ამ განცხადების ადრესატი ქართველი ამომრჩეველია და დასავლელი კეთილისმყოფელების მხრიდან არცთუ ირიბი მინიშნებაა, რომ 26 ოქტომბერს მან კოალიციური მთავრობა მოიყვანოს სათავეში. ეს გახლავთ ოპოზიციის და მისი მფარველების მთელი მუცლის გვრემა. საამისოდ მომარჯვებული აქვთ აკრძალული ილეთები: ჩამოხეულ-დაბიანებული ბანერები, ყალბი ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ათასი სისაძაგლე–სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური თავდასხმების ცალკეული ინციდენტები...

გავერანებულმა ბანერებმა ამ დღეებში ქუთაისური ტელეკადრი გამახსენა: შუა ქუჩაში გაჩაჩხული იდგა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე, რომელმაც გრძელ ტარზე წამოგებული ფუნჯით ამ საქმეში ჭიპმოჭრილი აისორი მალიარის სიმარდით გადაღება „ოცნების“ ბანერი „არა ომს!“ გვერდით ბრძენი გიგი უგულავა ედგა და ბეჯითად მისდევდა მის რჩევებს. ერთობ უჩვეულო იყო პარტიულ დებს შორის თითქოს არსებითად გამორჩეული ხატიას ამ უჩვეულო საქმიანობისას ნახვა, მაგრამ აქ ამომიტივტივდა ერთი გამოჯეკილი რევოლუციონერის ნათქვამი, პარტია ისე აწრთობს თავის წევრებს, რომ თხილის გულებივით ამსგავსებს ერთმანეთსო. ეგ კი ეგრეა, მაგრამ მაინც გული დამწყდა...

აშკარაა, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას მთლად დალაგებულად, საიმედოდ არა აქვს საქმე. ადვილი არ აღმოჩნდა ოპოზიციური პარტიებისგან მონოლითური ერთობის შექმნა, რომელიც ბეჭებზე დასცემდა „ქართულ ოცნებას“. ოპოზიციის მედროშის სალომე ზურაბიშვილის ინიციატივები ერთმანეთის მიყოლებით განიცდის კრახს. ყველას კარგად გვახსოვს მისი ამაო ჭაპანწყვეტა ხაზარაძე-გახარიას დასაძმობილებლად, რათა როგორმე მყარი საძირკველი შექმნოდა არჩევნებში „ოცნების“ დამარცხებას.

ამ დღეებში კი მოწმე ვართ რეზიდენტი პრეზიდენტის პირდაპირ ტიტანური მცდელობისა, არჩევნებამდე დანიშნულიყვნენ ტექნიკური მთავრობა და პრემიერ-მინისტრი, რომელიც ჩავარდა. ამან, პირიქით, კრიზისი უფრო გააღრმავა ქარტიის ხელმომწერთა შორის. აღმოჩნდა, რომ ქალბატონ სალომეს მიერ შერჩეული პრემიერის და მინისტრების კანდიდატურები მიუღებელია ნაციონალებისთვის, ლელოელებისთვის და შესაძლოა, სხვათათვისაც. ცხადია, ცალ-ცალკე ყველას ეიმედება, რომ არჩევნებს სწორედ ის მოიგებს (უმრავლესობით გავა) და წესისამებრ მომავალი პრემიერის და კაბინეტის შერჩევაშიც სწორედ მას ექნება მთავარი სიტყვა. თან ისიც გახმიანდა მალულად, პრემიერობის ჭია თვით სალომესაც უფუთფუთებსო და... კარგად მეყოლეთ...

„ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ანა დოლიძე კიდევ უფრო შორს წავიდა და პრეზიდენტის ეს ინიციატივა კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებად გამოაცხადა, ჩვენ კონსტიტუციის მცველი ჯარისკაცები ვართ, არ დავუშვებთ, რომ ერთი ადამიანი კაბინეტში ერთპიროვნულად წყვეტდეს, ვინ მართოს ქვეყანაო. ამაზე გამოტიტებულმა ზურაბიშვილმა რიხიანად განაცხადა, ვისაც ჩემი იდეა არ მოსწონს, შეუძლია ქარტიაზე თავისი ხელმოწერა უკან წაიღოსო.

ვნახოთ, ამ რიხიდან რა შერჩება 27 ოქტომბერს! მით უფრო, რომ მას ისედაც ელის ელდა. ირაკლი კობახიძემ დაუფარავად განაცხადა, იმის მიხედვით ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა როდის ჩაინიშნება, სალომე ზურაბიშვილი მეორე დღესვე აღარ იქნება პრეზიდენტი, რადგან მას იმპიჩმენტის წესით მოუწევს დატოვოს თანამდებობაო, რა თქმა უნდა, იმპიჩმენტს ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა აქვს, რადგან ერთ თვეში ზურაბიშვილს მაინც გაუვა ვადა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოღალატემ იმპიჩმენტის გარეშე არ დატოვოს თანამდებობა, კონსტიტუციის დამრღვევი სწორედ ამგვარად უნდა წავიდესო. ზურაბიშვილს, ეტყობა, „დაავიწყდა“, რომ ჩვენი კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი უნდა იყოს ზეპარტიული, ჩართული არ უნდა იყოს საარჩევნო პროცესში კონკრეტული პოლიტიკური ძალების სასარგებლოდ.

ოპოზიციის საარჩევნო ლექსიკონში ყველაზე დამრტყმელ, ყველაზე ქმედით, ყველაზე მოუგერიებელ ფაქტებს შორის რუსული თემა ყველაზე ნაღდია. რუსული მხოლოდ უარყოფით კონტექსტში შეიძლება იხმარო, თორემ უმალ „რუსად“, „რუსისტად“, „რუსეთუმედ“ იქცევი. ეს კი იგივეა, რაც მტერი, მოღალატე, გამყიდველი, აგენტი. ოპოზიცია ამომრჩეველს ტვინს უბურღავს, რომ „ოცნების“ საარჩევნო ნაბიჯები, სიახლეები, სულაც მთელი გეგმები რუსულის გამოძახილია. კრემლის სპიკერი დიმიტრი პესკოვი კი ამტკიცებს, დასავლეთის ქვეყნები საქართველოზე გავლენის მოხდენას ცდილობენ, მოსკოვი თბილისის საშინაო საქმეებში არ ერევაო.

რუსული „მიმართულების“ სხვა ინფორმაციაც მოვიძიეთ. „ბიზნეს პრეს-ნიუსიდან“ ვიგებთ, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან მოქალაქეთა აქტიური შემოსვლა აღარ ხდება, რამაც უძრავი ქონების ტრანზაქციებში მათი დიდი შემცირება განაპირობა. უძრავი ქონების ბაზრის კვლევის მიხედვით რუსეთის წილის შემცირების პარალელურად გაზრდილია ისრაელის მოქალაქეების მიერ ქონების შეძენის შემთხვევები, რის მთავარი მიზეზიც მიმდინარე ომი და ისრაელიდან მიგრაციის გაძლიერებული მაჩვენებელია. გაზრდილია ასევე ჩინეთის მოქალაქეთა მხრიდან მომართვიანობა. საქართველოში აქტიურად შემოდიან ჩინელები და საკმაოდ ბევრ ბინას ყიდულობენ. სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებში ზოგს 20-25 ბინაც კი აქვს შეძენილი.

მიუხედავად ყველაფრისა არჩევნები, რომლამდეც ერთი კვირაც აღარ დარჩა, მშვიდ გარემოში მიმდინარეობს და ამ სიმშვიდეს ვერ არღვევს დროდადრო ნასროლი „ჭურვები“, ხან –აქედან, ხან–იქიდან. მაგალითად, ოპოზიციაში ფართოდ ვრცელდება ცნობა “ქართული ოცნების” აქტივისტების მხრიდან ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ. ისინი, თურმე, ამომრჩეველთა ნაწილს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დროებით მათთვის გადაცემას სთხოვენ და ხმების სანაცვლოდ ურიგებენ პროდუქტს, საწვავის ტალონებს ან სთავაზობენ მომსახურების გაწევას.

„ქართულმა ოცნებამ“ კი გაავრცელა სენსაციური ინფორმაცია ტელევიზია “მთავარ არხზე” გაურკვეველი წარმომავლობის უკანონო ნაღდი ფულის–8 მლნ 475 ათასი დოლარის ბრუნვის შესახებ.

ასეთი „ჭურვები“ ყოველდღე ჩნდება, ოღონდ, „დიდი მშვიდობა“ ჯერჯერობით არ ირღვევა. ამასობაში 26 ოქტომბერიც გვიახლოვდება. მაგრამ ეს არ არის მთავარი საფრთხე. საფრთხე 27 ოქტომბერშია ჩაყურსული და კაცმა არ იცის, რა სახით, რა ფორმით, რა მასშტაბით წარმოსდინდება.

ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, რაც მთავარია, უნდა გავისიგრძეგანოთ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს თითოეული ჩვენგანის არჩევანს!



ალეკო ასლანიშვილი

ოპოზიციის საარჩევნო ლექსიკონში ყველაზე დამრტყმელ, ყველაზე ქმედით, ყველაზე მოუგერიებელ ფაქტებს შორის რუსული თემა ყველაზე ნაღდია. რუსული მხოლოდ უარყოფით კონტექსტში შეიძლება იხმარო, თორემ უმალ „რუსად“, „რუსისტად“, „რუსეთუმედ“ იქცევი. ეს კი იგივეა, რაც მტერი, მოღალატე, გამყიდველი, აგენტი. ოპოზიცია ამომრჩეველს ტვინს უბურღავს, რომ „ოცნების“ საარჩევნო ნაბიჯები, სიახლეები, სულაც მთელი გეგმები რუსულის გამოძახილია. კრემლის სპიკერი დიმიტრი პესკოვი კი ამტკიცებს, დასავლეთის ქვეყნები საქართველოზე გავლენის მოხდენას ცდილობენ, მოსკოვი თბილისის საშინაო საქმეებში არ ერევაო.

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის კორიფე და ერთ-ერთი ფუძემდებელი

მიმდინარე წელს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის კორიფეს და ერთ-ერთ ფუძემდებელს შალვა ამირანაშვილს დაბადებიდან 125 წელი შეუსრულდა.



აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი — 125

შალვა ამირანაშვილი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საფრანგეთის სააზიო საზოგადოების, საერთაშორისო მუზეუმის საბჭოსა და სსრ კავშირის მუზეუმის ნაციონალური კომიტეტის ნამდვილი წევრი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე. 1959 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

შალვა იასონის ძე ამირანაშვილი დაიბადა 1899 წ. 26 მარტს (ძველი სტილით) ქ. ონში, პედაგოგის ოჯახში. საშუალო განათლება ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, რომელიც 1917 წელს დაამთავრა.

1918 წ. მან სწავლა დაიწყო ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განხრით.

საქართველოში რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევის (1921 წ. თებერვალი) დროს, ივ. ჯავახიშვილის მოწოდებით, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად შალვა კოჯორთან იცავდა თბილისს. აქ ექვთიმე თაყაიშვილის მოთხოვნით ის გაამწესეს საქართველოს საგანძურის შესაფუთად და აღსაწერად, მისი გადარჩენის მიზნით. როგორც კომისიის მდივანმა, შალვა ამირანაშვილმა აღწერა საგანძური და გადაიტანა თბილისის რკინიგზის სადგურზე–იმ საგანგებო მატარებელზე, რომელსაც მიჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს ოფიციალური საბუთები და არქივი ბათუმში გადასარჩენად. ექ. თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი მერე უნდა გაჰყოლოდნენ სამგზავრო მატარებლით ამ განძს, მაგრამ შალვა ამირანაშვილი ვერ გაჰყვა, რადგანაც კოჯორში და მუზეუმების საცავებში გაციებულს დაემართა ფილტვების ანთება.

უნივერსიტეტში სწავლის დროს შალვა ამირანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველი ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლას. მისი პედაგოგები ქართული მეცნიერების კორიფეები იყვნენ, რამაც უდავოდ დიდი როლი შეასრულა მის მეცნიერად ჩამოყალიბებაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1922 წ.) ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის წარდგინებით დატოვეს ხელოვნებათმცოდნეობის კათედრაზე პროფესორის წოდების მოსაპოვებლად.

1923 წ. მივლინებულ იქნა მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც სწავლობდა ბიზანტიურს, ძველ რუსულ და ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებას პროფესორების დ. აინალოვის, ბ. ფარმაკოვსკის, ლ. მაცულევიჩის, ნ. სიჩოვის, აკად. ი. ორბელის და ნ. მარის ხელმძღვანელობით.

შალვა ამირანაშვილმა მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის **(კომისიის თავმჯდომარე დამიანე ჯგუშია, წევრები საქართველოს მხრიდან ნ. უორდანია, აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე და სხვ.),** მუშაობაში, რომელსაც დაევალა რუსეთში ცარიზმის დროს გატანილი საქართველოს კუთვნილი განძეულის (ხელნაწერები, ოქრომჭედლობის ნიმუშები, სტელები, არქეოლოგიური ნივთები და სხვ.) აღწერა-დაბრუნებაში.

მის მოვალეობას წარმოადგენდა სადავო ძეგლების, კერძოდ კი საქართველოდან გატანილი ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშად მიჩნეული ძეგლების, ქართული წარმომავლობის მეცნიერული დამტკიცება, რაც სულ ახალგაზრდა მეცნიერმა წარმატებით განახორციელა. საქართველოსთვის დასაბრუნებელი განძეულისთვის გამოიყო რკინიგზის ვაგონი, რომელსაც შალვა ამირანაშვილი გამოჰყვა როგორც რწმუნებული და მცველი. იმ დროის ძალიან არეულ და საშიშ პერიოდში, თითქმის დაუცველი განძის ასე წამოღება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. თავისი გამჭრიახობით შალვა ამირანაშვილმა მოიფიქრა და ვაგონს თეთრი საღებავით, დიდი ასოებით დააწერა: „**В вагоне тифозные**“ (რაც იმ პერიოდში, შავი ჭირის შემდეგ, ყველაზე საშიში გადამდები და სასიკვდილო დაავადება იყო) და 24 წლის ყმაწვილმა მშვიდობიანად ჩამოიტანა განძი თბილისში.

1925 წლიდან 1932 წლამდე შალვა ამირანაშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის დოცენტი; 1932 წ. აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე. 1929 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია: „უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის“; აღნიშნულ ნაშრომს სამეცნიერო წრეებმა მაღალი შეფასება მისცა და 1936 წლის 21 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო სხდომაზე შალვა ამირანაშვილმა წარმატებით დაიცვა ხელოვნებათმცოდნეობის სამეცნიერო ხარისხი. მისი ოფიციალური ოპონენტები იყვნენ გ. ჩუბინაშვილი და ალ. დუდუჩავა. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაცულ იქნა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში, იმავე წელს შალვა ამირანაშვილს მიენიჭა პროფესორის წოდებაც.

შალვა ამირანაშვილის მოღვაწეობა ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლის საქმეში, მათ გადარჩენაზე ზრუნვა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა – 1937 წ. იგი დაინიშნა ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულ კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილედ. ამ პერიოდში შალვა ამირანაშვილმა, სხვა მოღვაწეებთან (გ. ბოჭორიძე, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) ერთად, აღწერა საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქიტექტურული და მცირე ხელოვნების ძეგლები, ეკლესიები, სტელები, წარწერები და ა.შ. დამატებით შალვა ამირანაშვილმა შეადგინა იმ საგანძურის სია, რომელიც გატანილი იყო საფრანგეთში საქართველოს სხვადასხვა პუნქტებიდან (ბორჯომი, ქუთაისი, ზუგდიდი და ა.შ.).

1932-1952 წლებში შალვა ამირანაშვილი იყო თსუ ხელოვნებათმცოდნეობის, ხოლო 1958 წლიდან ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე გარდაცვალებამდე. 1953 წლიდან 1957 წლამდე ხელმძღვანელობდა ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის გაერთიანებულ კათედრას. 1932-1954 წლებში იყო სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ადრე „მეტეხი“) შალვა ამირანაშვილი 1934-1937 წწ. აღმოსავლეთის განყოფილების, 1937-1939 წწ. კი ფერწერის განყოფილების გამგეა. 1939 წ. 21 აპრილს დაინიშნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორად. ამ ხნიდან გარდაცვალებამდე იგი სათავეში ედგა ქართული კულტურის საგანძურს და ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მას. დირექტორის პოსტზე მისი ხელმძღვანელობით მრავალი უაღრესად საინტერესო ღონისძიება განხორციელდა. 1943 წლამდე იგი იყო საქართველოს მუზეუმის დირექტორიც.

1944 წ. გენერალ დე გოლისა და ი. სტალინის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შალვა ამირანაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საფრანგეთიდან ეროვნული განძის დაბრუნებაში. მოსკოვში ყოფნის დროს, პარიზში გამგზავრების მომზადებისას, მან მთავრობას სთხოვა ნებართვა, რომ საქართველოში ჩამოეყვანა თავისი მასწავლებელი ექვთიმე თაყაიშვილი, რაც დადებითად გადაწყდა. 1946 წ. კი მისი უშუალო თაოსნობით მუზეუმში გაიხსნა „ქართული ოქრომჭედლობის გამოფენა“.

ჯერ კიდევ 1927 წელს შალვა ამირანაშვილი აქვეყნებს ნარკვევს „ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის“ („ქართული მწერლობა“, N 6-7, თბილისი), 1939 წელს კი სტატიას „შოთა რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანი ძველ ქართულ მხატვრობაში“; („საიუბილეო კრებული“, თბილისი). აღნიშნული შრომები წარმოადგენენ ქართული საერო მხატვრობის ძეგლების შესწავლის პირველ ცდას.

1937 წელს ქართულ, ხოლო 1940 წელს რუსულ ენაზე გამოდის შალვა ამირანაშვილის მონოგრაფია „ზექა ოპიზარი“. იმავე წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა შალვა ამირანაშვილის „ირანის დაზგური ფერწერა“ და 1941 წელს „ირანული ფერწერა“, რომელშიც განხილულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ირანული მხატვრობის ყაჯარული ნიმუშები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1944 წელს გამოსული „ქართული ხელოვნების ისტორიის“ პირველი ტომი, რომელშიც ნაჩვენებია ქართული ხელოვნების განვითარება უძველესი ეპოქიდან არამთა შემოსევამდე. მასში განხილულია წინაქრისტიანული ქართული ხელოვნების მანამდე უცნობი მრავალი ძეგლი. 1950 და 1963 წლებში მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოდის „ქართული ხელოვნების ისტორია“, ხოლო 1961 და 1971 წლებში მისი შევსებული გამოცემა ქართულ ენაზე, სადაც ქართული ხელოვნება წარმოჩენილია პალეოლითის ხანიდან XX საუკუნემდე. ამ გამოცემის პოლონური თარგმანი 1973 წელს დაიბეჭდა. ეს შრომა დღემდე რჩება ერთადერთ ნარკვევად, სადაც სრულადაა განხილული ქართული ხელოვნების განვითარების გზა.

1961 წელს პარიზში გამოიცა შალვა ამირანაშვილის „ქართული მინანქარი“. 1963 წელს გამოდის ამ შრომის იტალიური, ხოლო 1965 წელს ინგლისური გამოცემები. ეს იყო ფაქტობრივად ქართული ხელოვნების უნიკალური შედევრების პირველი პუბლიკაცია ევროპულ ენებზე, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევით, რაც ქართული ხელოვნების ძეგლების თანამედროვე მსოფლიო ასპარეზზე გასვლას ნიშნავდა.

შალვა ამირანაშვილი იყო პირველი, ვინც დაასაბუთა ქართული მინანქრის ორიგინალურობა და ადგილობრივი წარმოება. წიგნში განხილულია მინანქრის დამზადების რთული ტექნოლოგია, განსაზღვრულია მათი ადგილი მსოფლიო ოქრომჭედლობის ისტორიაში.

1971 წელს ჩეხოსლოვაკიაში ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ჩეხურ ენებზე გამოიცა შალვა ამირანაშვილის „ქართული მხატვრული ლითონქანდაკება“ (ანტიკური პერიოდიდან XVII საუკუნის ჩათვლით).

მეცნიერის ინტერესები არ იფარგლებოდა მხოლოდ ქართული ხელოვნებით. იგი ბევრს მუშაობდა ბიზანტიური და ძველი რუსული ხელოვნების მეცნიერულად შესასწავლად. ორიგინალურია მისი გამოკვლევა ნოვგოროდ-ნერედიცას კედლის მხატვრობის შესახებ, გამოცემული 1932 წელს ფრანგულად. ეს ნარკვევი ფაქტობრივად პირველი წყაროს მნიშვნელობისაა, რადგანაც ნერედიცას ეკლესია მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად დაინგრა.

შალვა ამირანაშვილი აქტიურად მონაწილეობდა სამხატვრო-შემოქმედებით ცხოვრებაში. დიდ ინტერესს იჩენდა თანამედროვე ხელოვნების მიმართაც, რისი შესანიშნავი დასტურია მისი მრავალრიცხოვანი წერილები, რეცენზიები და საჯარო გამოსვლათა სტენოგრაფიული ჩანაწერები. მისი უკანასკნელი შრომები ძველი ქართული ხელოვნების თვალსაჩინო ძეგლებს მიეძღვნა: 1972 წ. დაისტამბა „ხახულის კარედი“, 1974 წ. - „ქართველი მხატვარი დამიანე“.

შალვა ამირანაშვილი ხელოვნების მუზეუმში მრავალი გამოფენის ავტორი და სულისჩამდგმელი იყო. მისი თაოსნობით ეწყობოდა უცხო ქვეყნების კულტურული ძეგლების გამოფენები, აგრეთვე საქართველოს მხატვრებისა თუ მოქანდაკეების პერსონალური და თემატური ექსპოზიციები. აღსანიშნავია რეპრესირებული მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის პერსონალური გამოფენის მოწყობა. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების მსოფლიოს ასპარეზზე გატანაში. ევროპის მრავალ ქვეყანაში სწორედ შალვა ამირანაშვილის თაოსნობით მოეწყო ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენები: საფრანგეთში, ლუვრის დარბაზებში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და სხვაგან.

შალვა ამირანაშვილის ღვაწლი მრავალჯერ დაფასდა სახელმწიფო ჯილდოებით: მათ შორის აღსანიშნავია 1946 წელს მიღებული შრომის წითელი დროშის ორდენი, ხოლო 1954 წელს–ლენინის ორდენი.

მუზეუმის უსაზღვრო სიყვარულზე, მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს მუზეუმის არქივში დაცული თითოეული საბუთი. ისინი ასახავს იმ მძიმე შრომას, რომელიც მან გასწია მუზეუმისათვის სათანადო შენობის მოსაპოვებლად, სადაც დღესაცაა განლაგებული.

1990 წ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელი მიენიჭა, რაც მეცნიერულ მემკვიდრეობასთან ერთად საწინდარია იმისა, რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის თვალსაწიერი

25-28.IX.2024

ჩვენი საზოგადოება, საშედნიეროდ, ძველ ქართულ ენასაც და ლიტერატურასაც საკმაოდ კარგად იცნობს, რადგანაც ეროვნული სკოლა, ტრადიციისამებრ, სავალდებულო ტექსტებად გვთავაზობდა ქართული აგიოგრაფიისა თუ ჰიმნოგრაფიის შედევრებს და ისინი ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სკოლის გამოსაშვებსა თუ უმაღლესი სასწავლებლების მისაღებ გამოცდებზეც.

შესაბამისად, ყველას გათავისებული გვაქვს ის აზრი, რომ ძველი ქართული მთელი ხილული შვიდი საუკუნის განმავლობაში სანიმუშოდ მოწესრიგებული და მონოლითური იყო; მისი ამ ნიშნით მას **კლასიკურ სალიტერატურო ქართულსაც** უწოდებენ (რაშიც აშკარად გამოსჭვივის კლასიკურ ძველ ბერძნულთან მეტოქეობის აქცენტი); მაგალითად, აკაკი შანიძე გიორგი მთაწმიდელის ერთი მნიშვნელოვანი თხზულების შეფასებისას წერს: **„კლასიკური ქართულის** ძეგლებზე აღზრდილი, ის ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX – X სს) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს თავი დააღწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას...“

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გადავიტანოთ მინიშნებულ ენობრივ სიახლეებზე. კერძოდ, საყურადღებოა ის, რომ ძველ ქართულ მწიგნობრულ ენაში არათუ აღნიშნული დროისათვის, არამედ უფრო ადრეც იჩენს თავს, უდავოდ, ახალი ენობრივი მოვლენები.

საზოგადოდ, რეალობაა ის, რომ ძველი ქართული, როგორც სალიტერატურო ენა, მონოლითურია IV საუკუნიდან მოკიდებული XI საუკუნის ჩათვლით, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მთელი შვიდი-რვა საუკუნე) სალიტერატურო ენის განვითარებისა და სისტემურ თუ კერძოობით ცვლილებათა ხელშესახები ნიშნები იკვეთება. ზოგადად თუ შევხედავთ;

VIII საუკუნის ჩათვლით ხანმეტობა-ჰაემეტობის პერიოდია;

X-XI – მნიშვნელოვან სისტემურ ცვლილებათა პერიოდი.

შესაბამისად, გამოდის, რომ სტაბილური პერიოდი, ანუ ე. წ. **კლასიკური ძველი ქართულის არსებობის დრო IX საუკუნეზე მოდის.**

მაგრამ საკითხი ასე მარტივად, ანუ ფორმალური ლოგიკის დონეზე არ წყდება.

უპირველესად ყურადღებას იქცევს იდუმალებით მოცული ხანმეტ-ჰაემეტი მწიგნობრობის პერიოდი – მთელი ეპოქა (IV-V-VI-VII-VIII საუკუნეები).

არსებითი კი ის არის, რომ ხანმეტობა (და ჰაემეტობა) ერთგვარი გარეგნული სახეა პირველი პერიოდის მწიგნობრული ქართულისა – საკმარისია ეს „მეტობა“ ჩამოვაცილოთ შესაბამის ტექსტებს და არსებითად გვრჩება ჩვეულებრივი, სტანდარტული ძველი ქართული, ისეთივე, როგორიცაა გიორგი მერჩულისა თუ გიორგი მთაწმიდელის ენა.

ამავე დროს, ხანმეტობა თავისი არსით იმდენად რთული სისტემაა (აღინიშნება სუბიექტი, ირიბი ობიექტი, პირდაპირი ობიექტი, უფუნქციო ხ- – ერთპირიან ზმნებში, ხარისხის წარმოება), რომ პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ამგვარი სისტემის საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნება **ნორმატიული გრამატიკის** არსებობის გარეშე.

აქვე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ეს მოვლენა (ხანმეტობა) მხოლოდ მოხაზული დროის ფარგლებში არ თავსდება, არამედ მეტად შორს მიდის ისტორიის სიღრმეში. გარკვეული მონაცემების შედარებითი კვლევა (მაგალითად, **ხუცესსიტყვისა**) უეჭველს ხდის, რომ ეს სისტემა მოქმედი უნდა ყოფილიყო საერთოქართველურის დონეზე, ანუ მინიმუმ ქრისტემდელ პირველ ათასწლეულამდე მაინც.

სწორედ ხანმეტობის მინიშნებული თავისებურება (ის, რომ მისი განსხვავება ოდენ ამ ნიშნით შემოიფარგლებოდა) უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელი, ქართული ოთხთავის მინიმუმ მესამე თარგმან-რედაქციის ავტორი, მე-11 საუკუნეშიც კი მიიჩნევს შესაძლებლად ხანმეტი თარგმანის პარატიკულად გამოყენებას: ,,ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაა ოთხთავი ახლად გგთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაათა... და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაა, ღმრთისათთს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაამე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითაგან **წმიდად თარგმნილნია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა, მუნით დაწერეთ** და, ღმრთისათვის, ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ.“

გასული ზაფხულის დასაწყისში ერთმა უფროსკლასელმა ყმაწვილმა მასწავლებელთან წარმოქმნილი უთანხმოების გასარკვევად დამირეკა. როგორც ხდება ხოლმე: მოსწავლემ ერთ-ერთი გრამატიკული ფორმა, როგორც იცოდა, ისე დაწერა. მასწავლებელმა ეს ფორმა გაუსწორა და ქულაც დააკლო. მოსწავლემ განმარტება მოითხოვა. ჯერ ერთ სახელმძღვანელოში შეამოწმეს, შემდეგ - მეორეში, პასუხი არ დაემთხვა ერთმანეთს. მერე ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ნახეს, იქაც ასეთივე არაერთგვაროვნება აღმოჩნდა.

ავუხსენი, რა იწვევს ასეთ სხვაობებს.

ახლანდელი თავისუფალი თაობა, საბედნიეროდ, პრეტენზიის გამოთქმას არ გაურბის. არც კითხვის დასმას უფრთხის და არც პასუხის მოთხოვნა ერიდება. დაახლოებით ამას მეუბნება: – სკოლაში სამი უცხო ენა ვისწავლეთ. არც ერთში არ გვეუბნებოდნენ მასწავლებლები, რომ რაღაცის გამოთქმა თუ დაწერილობა გარკვეული არ არის. ჩვენს ქართულში რატომ არის ამდენი გაუგებრობა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდას წარმოადგენს წინამდებარე წერილი (და ქართველოლოგიურ კონგესზე წარდგენილი მოხსენება), რომელიც ჩემს რამდენიმე ადრინდელ მოსაზრებას აერთიანებს.

ავთანდილ არაბული

ნორმატიული გრამატიკა: ისტორია და თანამედროვე ვითარება

აღნიშნულის გათვალისწინების გარეშე მართლაც აუხსნელი იქნებოდა წმიდა მამის მიერ თავის თანამედროვე ღვთისმეტყველებაში ხანმეტი სახარების გამოსაყენებელ ტექსტად გამოცხადება.

ძველი ქართულის განვითარების მითითებული ეტაპების გათვალისწინებით კლასიკური ძველი ქართულის სანიმუშო განმასახიერებლად შეიძლება მივიჩნიოთ IX საუკუნის თარიღიანი (864 წლის) ხელნაწერი ,,სინური მრავალთავისა“. ეს ძეგლი მართლაც საუკეთესოდ წარმოადგენს ძველი ქართულის გრამატიკულ მთლიანობას. მაგრამ ამ დიდი მოცულობის ძეგლის შემადგენელ ტექსტებშიც, როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, აქა-იქ იჩენს თავს როგორც უფრო ძველი პერიოდის არქაული გადმონაშთები, ისე ხელშესახები სიახლეები, წარმოქმნილი ენის განვითარების პროცესში.

ენობრივი ცვლილებების ცალკეული გამოვლინებები გვკარნახობს იმას, რომ მწიგნობრული ნორმის გვერდით უკვე არსებობს ახალი სამეტყველო უზუსი. ოღონდ რა წრეს მოიცავს, რამდენად საყოველთაოა ეს უზუსი, ამაზე პასუხის გაცემა დღეს გაძნელებულია.

კლასიკური ძველი ქართულის დამკვიდრება-განვითარებაში განუზომელი როლი შეასრულა მწიგნობრობის ათონურმა სკოლამ. ამ მხრივ განსაკუთრებულია წვლილი ისეთ მთარგმნელ-მწიგნობართა, როგორებიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები. მათი მოღვაწეობა მთლიანად მოიცავს XI საუკუნეს, ანუ ძველი ქართულის ფუნქციონირების არსებითად ბოლო ეტაპს, ამიტომაც მათი ენობრივი მემკვიდრეობა ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს.

გიორგი მთაწმიდელმა, როგორც ითქვა, განსაკუთრებული შრომა გასწია სახარების ახალი თარგმანის შექმნისათვის, რომელიც ამ დროიდან დღემდე ბოლო კანონიკური ტექსტია წმიდა წიგნისა. და რაოდენ საგულისხმოა, რომ ეს ტექსტი არსებითად **პირწმინდად იცავს ძველი ქართულის გრამატიკულ ნორმებს.** მაგრამ, ამავე დროს, ამ რედაქციას დართულ ანდერძსა და სხვა ორიგინალურ ტექსტებში იგი თავს უფლებას აძლევს მეტი გასაქანი მისცეს ენობრივ სიახლეებს.

ეს ყოველივე გვიკარნახებს გარკვეულ დასკვნებს:

- ძველი ქართულის ნორმატიული სიმყყარე გარდაუვლად გულისხმობს სისტემური გრამატიკის არსებობას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ისტორიულ-გეოგრაფიულად დანაწევრებული სივრცის პირობებში მყარი ნორმების მოქმედება უპირობო დასტურია ჩამოყალიბებული, ერთიანი გრამატიკისა.

- უთუოდ ამ კლასიკური გრამატიკით სარგებლობს მე-12 საუკუნის ბოლოს რუსთაველი და ამ გრამატიკას დიდი მოაზროვნე იყენებს როგორც მყარ ფუნდამენტს, ერთგვარ საყრდენ სისტემას მისგან განსაზღვრულ ხანგრძლივ მომავალში ქართული ეროვნული ენის უნყვეტი განვითარებისათვის.

მე-19 საუკუნის 60-იანელთა სამწერლობო და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ, განსაკუთრებით კი იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ და ენობრივი განათლების მისეულმა ხედვამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში. ამავე დროს, მათ არაერთი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგეს სალიტერატურო ენის აუცილებელი უნიფიცირებისათვის და შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ზოგიერთი ენობრივი ნორმის განსამტკიცებლად დღესაც გვიწევს მათი პოზიციების გათვალისწინება. ამავე დროს, ისიც აშკარაა, რომ ამ უკვდავი პლეადის ძალისხმევა ჯერ კიდევ მაინც შორს იდგა სრულფასოვანი ენობრივი პოლიტიკისაგან, რამდენადაც აღნიშნული ცდები ობიექტურად მოკლებული იყო საჭირო ორგანიზაციულსა და ინსტიტუციურ განმტკიცებას.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის ნორმებისა და მათი დადგენის პრინციპების შემუშავების პირველი ცდა იყო „ივერიის“ რედაქციაში 1886 წლის შეკრება და გარკვეული გეგმის დასახვა ცალკეულ საკითხთა გადასაწყვეტად. ამ ორგანიზაციული ინიციატივის შემდგომი განვითარება უცნობია, მაგრამ ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის კორიფეების (ილია, აკაკი, იაკობი, გრ. ყიფშიძე, ნ. ნიკოლაძე, სილ. ხუნდაძე...) გახშირებული პოლემიკური წერილები კარგად წარმოაჩენს საკითხის საყოველთაო აქტუალიზაციას. ამ შემთხვევაში ყურადღებას მივაქცევთ გრიგოლ ყიფშიძის მიერ ჩამოყალიბებულ პოზიციას, რადგანაც ის ყველაზე უკეთ ასახავს ენის ნორმალიზაციის მიმართ შემდგომი პერიოდის მიდგომათა შინაარსს. იგი 1895 წელს „მოამბეში“ წერდა:

„ჰლირს განა დავა-კამათი, მოცდენა და ხარჯვა მელნისა და ქაღალდისა იმაზედ, როგორ სჯობიან ვსწეროთ ისეთი სიტყვანი, რომელთაც ორნაირი და სამნაირი ფორმა აქვთ და რომელთაც ერთი მწერალი ასე სწერს, მეორე - ისე?! მაგალითად: ილია სწერს - წინად, ივანე - წინეთ, გოგია - წინედ; პეტრე სწერს: სოფლიდგან, პავლე - სოფლიდან, ნიკა - სოფლითგან, გიგა - სოფლიდამ... ამისთანა წვრილმანი სხვადასხვაობა ჩვენს ენაში ბევრისაგან ბევრია და მაგაზედ რომ ვიდავოთ, წუთისოფელი გამოგვიღამდება და ვეღარას ვერ მოვეწევით...“

ხოლო მისი ზოგადი დასკვნა ასეთია:

„რასაკვირველია, ერთფერობა და ერთგვაროობა ჩვენს მართლწერაში ფრიად სასურველია, მაგრამ, ვიდრე ეს მოჰხდებოდეს, მაინც და მაინც დიდს არაფერს უშლის არავის ორისა და სამის ერთგვარის ფორმის ერთად არსებობა. არც ენის სისწორესა და სისუფთავეს დააკლდება რამე ამით მაინცა და მაინც. ამ სამსა და ოთხს ფორმაში ჩუმი ბრძოლა იწარმოებს ბუნებრივის

შერჩევის კანონით... და ერთ-ერთი გაიმარჯვებს მათ შორის...“

ქართული სალიტერატურო ენის ნორმატიული უნიფიცირების მყარი საფუძველი შეიქმნა მხოლოდ **ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნების** შემდეგ, რაც თავისთავად გულისხმობდა, ერთი მხრივ, ახალი ქართული ენის სრული პოლიფუნქციურობის უზრუნველყოფას საუნივერსიტეტო სივრცეში და, მეორე მხრივ, უპირობოდ მოასწავებდა ერთიანი საგანმანათლებლო სივრცისა და ინსტიტუციური სისტემის გამართვას სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ჩამოყალიბებისა და გავითარებისათვის.

ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ ამ საიმედო (საუნივერსიტეტო) საფუძველზე სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის პრინციპები ძირითადად უკვე შემუშავებული ჩანს 1921 წლისათვის. კერძოდ, მაშინდელ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ 1920 წლის 24 მაისს გამართულიყო „ენის მცოდნეთა კონფერენცია“. მისი მომზადება დაეკისრა „საორგანიზაციო კომისიას“ სოლიდური აკადემიური შემადგენლობით: **აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, სერგი გორგაძე, ვუკოლ ბერიძე.** რაც მთავარია, კომისიას უნდა შეემუშავებინა სადავო საკითხთა მოწესრიგების სარეკომენდაციო წესები. ამ მუშაობის შედეგად ერთ წელიწადში უკვე მზად იყო სპეციალური ნორმატიული წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის“ (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად). ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პირველი სამამულო პრინციპების ძირითადი სულისკვეთება. ეს მიდგომა ღაღადებს, რომ ამოსავალი პრინციპია **„ფორმათა ერთსახეობა“**, მაგრამ, იმავე დროს, „უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია **პარალელური ფორმების დაშვებაც“** („სალიტ. ქართულისათვის“, ტფ. 1921).

ამას მოჰყვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის მეტად აქტიური ათწლეულები და 1950-იანი წლების დასაწყისში არნ. ჩიქობავას მიერ საბოლოოდ იქნა ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რომელთაც დაეფუძნა შემდგომი დროის ნორმატიული პოლიტიკა და რომელთაც დღემდე აქვს მინიჭებული წარმმართველი ფუნქცია. ეს პრინციპები ზემოაღნიშნული თვალსაზრისით არსებითად არ ცვლის 20-იანი წლების კომისიის პოზიციას; კერძოდ, ის გვეუბნება, რომ „ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას საგალდებულოა დარჩეს **ერთი ფორმა“,** მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ „იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის **ორი ან მეტი პარალელური ფორმა,** რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი **დარჩნენ პარალელურად.“**

აშკარაა, რომ ქართულ ნორმატიულ პოლიტიკას სპეციფიკურ ნიშნად დაჰყვა **ორთოგრამათა (მოცილე გრამატიკულ ფორმათა) ვარიანტულობის დაშვება.** თუ შესადარებლად ავიღებთ კლასიკური მწიგნობრობის უცხო ენებს, იქ ნორმათა უნიფიკაცია პრინციპული ხასიათისაა: მკაცრად არის დაცული როგორც ნორმა, ისე გამონაკლისი ძირითადი წესისაგან (ეს გამონაკლისები რაოდენობრივადაც კი აღინუსხება). ქართულ სინამდვილეში კი ვარიანტულობა ლამის ძირითადი შინაარსი აღმოჩნდა ნორმატიული პოლიტიკისა.

ამგვარი რეალობის მიზეზად შეიძლება რამდენიმე მომენტი დავასახელოთ:

1. სრულიად თვალსაჩინოა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ქართული ენის ნორმალიზაციის სტრატეგია ისახება, ახალი სალიტერატურო ენის ძირითად გზისს წარმოადგენს მე-19 საუკუნის უკვდავ კლასიკოსთა მემკვიდრეობა; უმთავრესად ამ მონაცემებზე შენდება ქართული გრამატიკის თეორია (ა. შანიძე) და მასვე ასახავს ნორმალიზაციის უმთავრესი საფუძველი - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავა). ეს ენობრივი მონაცემები კი (თვით ახალი ქართულის მფლობელობის სამი გურჯი - ილია, აკაკი და იაკობი) მნიშვნელოვან არაერთგვაროვნებას (ვარიანტულობას) სთავაზობს ახალი (საუნივერსიტეტო) თაობის ენის კანონმდებლებს.

2. ისე მოხდა, რომ ქართული თფილოლოგიის (ქართველოლოგიის) პროტაგონისტების ენობრივი (ამჯერად - უკვე მეცნიერული, რაც პრაქტიკულად მათს სამეცნიერო ტექსტებშიც აისახებოდა) **პოზიცია მეკრ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებული აღმოჩნდა,** რისი გათვალისწინებაც ასევე ვარიაციების სახით აჩნევდა კვალს ნორმატიულ წყაროებს. მაგალითად, ა. შანიძეს მიაჩნდა, რომ მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი **ჰ-/ს-** თანამედროვე ქართულში შენარჩუნებულია **(ს-თქვი, ს-ჩანხარ, ს-ძღები...),** რაც სასკოლო სახელმძღვანელოებშიც აისახებოდა; „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ კი აცხადებდა, რომ ეს ნიშანი უკვე დაკარგულია. ამავე დროს, მე-3 ირიბობიექტური პირის ნიშანი, რომელიც მესამე სერიის ფორმებშიც სავალდებულო ჩანს, განმარტებითი ლექსიკონის ზმნური სალექსიკონო ერთეულის მისათითებელ ფორმებში არცთუ იშვიათად გამოტოვებულია (მაგ., ერთი მხრივ გვაქვს: **გაჰპრანჭვია, გაჰფენია...,** მაგრამ, მეორე მხრივ: **გაპასუხებია, გაბუტვია, გაბაასებია, დაფასებია...**) და ორთოგრაფიული ლექსიკონიც თითქოს თავს არიდებს მათს ჩვენებას. გავიხსენოთ სხვა პარალელიზმები სხვადასხვა დროისა: **ეჰგონივარ // ვგონივარ; შევჩივლეგ //შევსჩივლეგ; ვიღაცამ [//ვიღამაც]; ვიღაცას [//ვისღაც, ვიღასაც]; რაღას // რასღა; რამეს // რასმე; იყვნენ // იყონ; წასულიყვნენ // წასულიყონ; ღმერთის // ღმრთის // ღვთის; თავისი // თვისი; ძმაო // ძმავ; რაშიც // რაშიაც; ახლანდელი //ეხლანდელი; ასეთი // ესეთი** და სხვ. და სხვ. და ეს პრაქტიკა უწყვეტად გრძელდებოდა დღემდე.

ამისი შედეგი იყო ის, რომ ქართულის გამოცდებზე, ტრადიციულად, იმ ფორმების ორ-სამგვერდიანი „საშეღავათო“ ჩამონათვალი იყო საჭირო, რომლებიც გამოსაცდელს შეცდომად არ უნდა ჩასთვლოდა (უცხო ენის გამოცდებში ასეთი ნუსხის ტრადიცია ფაქტობრივ არ არსებობდა)!

ვფიქრობთ, ენის ნორმალიზაციის სამამულო პოლიტიკა გარკვეულად უპასუხებდა თავისი დროის იდეოლოგიურსა და სოციალურ რეალობას. კერძოდ, ამ გადასახედიდან უკეთ ჩანს, თუ რამდენად მაღალია იმდროინდელ სოციალურ სისტემაში სამეცნიერო ინტელიგენციის პრესტიჟი. სკოლის მასწავლებელი, ლექტორი, მეცნიერი (დოქტორი) მაღალი სოციალური მდგომარეობაა და თანამდებობრივად პრივილეგირებული პარტიული ნომენკლატურა ღიად თუ ფარულად მას უსწორებს მხარს, მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს, მასთან ურთიერთობაზე გადის სოციუმის ნდობის გზა. შესაბამისად, ამგვარ საზოგადოებაში ენის საკანონმდებლო და საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმმართველებს ურჩევნიათ თავიანთი ენობრივი ნება კატეგორიული მიდგომების გარეშე დაამკვიდრონ. სხვაგვარად: **„რბილი“ ნორმატიული მიდგომა ენის კანონმდებელთა სოციალური პრესტიჟით იყო კომპენსირებული.**



თუ ამგვარი გადმოსახედიდან შევაფასებთ ჩვენს დღევანდელ ვითარებას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ წინა საუკუნის **ეროვნული პარადიგმა ყველა ასპექტით რადიკალურად არის შეცვლილი.** აშკარაა, რომ არცერთი დასახელებული პირობა, განმსაზღვრელი საუკუნისწინანდელი ენობრივი პოლიტიკისა, დღეს რეალურად აღარ არსებობს.

ერთი მხრივ: მე-20 საუკუნის ქართული სიტყვიერი ხელოვნების (საზოგადოდ –ეროვნული ხელოვნების) განვითარება იმდენად ნაყოფიერი და მრავალმხრივი აღმოჩნდა, რომ შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სრულიად ახალი გაზისი, რომელიც ნორმატიული თვალსაზრისით გვევად უფრო მოქნილებებულია, ვიდრე წინამორბედი საუკუნის დიდი კლასიკური მემკვიდრეობდა. ამას, ცხადია, ის საგამომცემლო-სარედაქციო კულტურაც განპირობებდა, რაც ახალმა ტექნიკურმა პირობებმა დაამკვიდრა. ამავე დროს, სალიტერატურო ენის უნიფიკაციის პროცესი ქვეყნის სრულფასოვანი ინტელექტუალური ცხოვრების ყველა მიმართულებით წარიმართა: მეცნიერების ქართველოლოგიური და საგუნებისმეტყველო დარგები, სასკოლო და უმაღლესი განათლება, პრესა და რადიო-ტელევიზია, საკანონმდებლო და ოფიციალურ-საქმიანი სფეროები...

ინტენსიურმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა პროცესებმა ობიექტურად მნიშვნელოვნად დააახლოვა საუნივერსიტეტო და აკადემიური წრეების ენობრივი პოზიციები; ბევრი ზემომითითებული ნორმატიული პარალელიზმის თაობაზე არსებითად მიღწეულია დამოკიდებულებათა ერთგვაროვნება (სწორედ ენის განვითარების ობიექტურ მოთხოვნათა კარნახით). ანუ ამ შემთხვევაში ნორმა „უფრო“ ძველია, ვიდრე სოციალური მოთხოვნა.

ზემოთ, ძველი ქართულის შესახებ საუბრისას „ნორმატიული გრამატიკის“ ცნება გამოვიყენეთ. გრამატიკა თავისავე გუნებით არის ნორმატიული, რამდენადაც ამა თუ იმ ენის სისტემური აღწერა თავისთავად გულისხმობს, რომ გრუნებისა თუ უღლების მნკრივთა ნებისმიერი „უჯრა“ მონოფორმით უნდა შევსებულ. აკაკი შანიძის მიერ ერთი საუკუნის წინათ შექმნილი სისტემური გრამატიკის წინამსწრები ე.წ. ფილოლოგიური გრამატიკებიც კი, იმვიათი გამონაკლისის გარდა, ამ ტიპის იყო. სწორედ გრამატიკის გუნების გათვალისწინებით რეაგირებს პედაგოგი, როდესაც პროტესტს გამოთქვამთ ორთოგრამათა ვარიანტულობის გამო და ამასვე უკავშირდება ის განსხვავება, რაც პედაგოგთა და მეცნიერთა მიდგომებს შორის იჩენს თავს ნორმათა დადგენის პრინციპების განსაზღვრისას.

თავის მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე პროცესები ობიექტურად მოქცეულია ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიისა და ახალი ცნობიერების აქტიური დამკვიდრების „ტურბულენტურ ზონაში“ და ყველა ნიშანი მეტყველებს იმას, რომ ეს სოციალური „დუღილი“ და მისი შედეგები მოკლე პერიოდს არ უნდა მოიცავდეს, რაც ენის განვითარებასაც თავის კვალს აჩნევს...

რით უნდა უპასუხოს თანამედროვე განვითარების პროცესებს ენობრივმა პოლიტიკამ?

ვფიქრობთ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ზემოწარმოდგენილი სურათი გვკარნახობს იმას, რომ უახლესი ენობრივი პოლიტიკის პასუხი არსებული ვითარებისადმი უნდა იყოს სრულიად საპირისპირო იმისა, რის წინაშეც ჩვენ დღეს ვდგავართ, მაგრამ რაც გარდასული ტოტალიტარული სისტემის ერთგვარ გამოძახილად გვესახება. კერძოდ:

დღეს ნორმატიულმა პოლიტიკამ არსებითად უნდა თქვას უარი ვარიანტულობაზე, როგორც სალიტერატურო (სახელმწიფო) ენის განვითარების ამოსავალ პრინციპზე.

თანამედროვე სალიტერატურო ენის მართლწერა მაქსიმალურად უნდა დაეფუძნოს ნორმატიული გრამატიკის პრინციპებს.

ამის შედეგად ნორმის შინაარსი გამარტივდება, მაგრამ შესაბამისი პრინციპები მეტ სიზუსტეს (და პატეგორიულობას) შეიძენს.

ამგვარი მიდგომა ერთადერთი სწორი პასუხი იქნება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების იმ მასშტაბური შედეგების მიმართ, რაც ქართული კულტურის, ეროვნული განათლებისა და მეცნიერების, ქართული ჟურნალისტიკის, ანუ, შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფო ენის განვითარების კიდევ ერთმა განვლილმა საუკუნემ განაპირობა.

სულითა და ხორცით ქართველი კომპოზიტორი

ოთარ თაქთაქიშვილი 100

კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, ოთარ თაქთაქიშვილის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა.

“კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ოპერის თეატრის სოლისტებმა, გუნდმა, ორკესტრმა და ანსამბლმა „რუსთავმა“. კონცერტზე შესრულდა ფრაგმენტები ოთარ თაქთაქიშვილის სხვადასხვა ნაწარმოებიდან. ოპერის თეატრის ცისფერ დარბაზში მოეწყო გამოფენა და საზოგადოებას საშუალება მიეცა, ენახა ოთარ თაქთაქიშვილის ფოტოები, მისი სპექტაკლების აფიშები.

ოთარ თაქთაქიშვილი დაიბადა მდიდარი მუსიკალური ტრადიციების მქონე ოჯახში. ბავშვობიდანვე სწავლობდა ფორტეპიანოზე დაკვრას, მღეროდა სკოლის მოსწავლეთა გუნდში. თავიდან პიანისტობა უნდოდა და ამ მიზნით შევიდა პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. მომავალ კომპოზიტორს დიდი სარგებლობა მოუტანა მოსწავლეთა ორკესტრის წევრობამაც.

1942 წელს ოთარ თაქთაქიშვილი შედის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კომპოზიციის ფაკულტეტზე და მეცადინეობს პროფესორ სერგო ბარხუდარიანთან. ამ პერიოდში მას შექმნილი ჰქონდა ორი სიმფონიანი და ერთი საფორტეპიანო ტრიო, სავიოლინო სონატა, საფორტეპიანო პიესები. 22 წლის ახალგაზრდამ საქართველოს ჰიმნის შექმნისთვის გამართულ დახურულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა.

1951-1952 წლებში იგი აწყობს საკონცერტო ტურნეს საზღვარგარეთ, სადაც დირიჟორობს საკუთარ ნაწარმოებებს.

1961 წელს ოთარ თაქთაქიშვილს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. სულითა და ხორცით ქართველმა კომპოზიტორმა დიდი როლი შეასრულა ეროვნული ოპერის კლასიკური ტრადიციების დამკვიდრებაში. კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი ოთარ თაქთაქიშვილი 22 წელი სახელმწიფო სამსახურში იყო. თბილისის კონსერვატორიის სამწლიანი რექტორობის შემდეგ, 1965 წლიდან, კულტურის მინისტრი გახდა და მის სახელს უკავშირდება იმ პერიოდში მომხდარი არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ის იყო კულტურის მინისტრი, რომელმაც საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების მსმენელისთვის ქართული ხელოვნების გაცნობა ყველაზე უკეთ შეძლო”...

ლელა თათარაიძის საიუბილეო საღამო

24 ოქტომბერს, 19:00 საათზე, რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე, თუშური მელოდიების განუმეორებელი შემსრულებლის ლელა თათარაიძის საიუბილეო საღამო გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ:

ლელა თათარაიძე, ეთერ თათარაიძე, ტრიო „ქართული ჰანგი“, „რუსთავი“, „ერისიონი“, „ბასიანი“, „ძირიანი“, გორის ქალთა გუნდი, „კელაპტარი“, კვარტეტი „კესანე“, ჯგუფი „ურსა“, ვასილ კორნიენკო, დათო კენჭიაშვილი, ფოლკლორის ცენტრის გუნდი, ქსოვრელები, წალენჯიხის და გორის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები

ღონისძიების მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ოჰ, რა შორია ნიურნბერგიდან საქართველომდე

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე თითქმის აღარაფერი დარჩა. მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ განცხადებით, იგი უეჭველად იმარჯვებს და, თანაც, ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 60 პროცენტით. მოჰყავს ამის დამამტკიცებელი არგუმენტებიც. მისი დაპირებები, ოპონენტების დაპირებებისგან განსხვავებით, პრაგმატული და რეალურია. მოკლედ, „ოცნება“ მიწაზე დგას და ამომრჩევლების გაცუცურაკებას არ ცდილობს. თავისი 12-წლიანი მმართველობისას დაშვებული შეცდომებისა თუ შეუსრულებელი დაპირებების აღიარებასაც არ ერიდება.

„ოცნების“ სავარაუდო წარმატებაზე მიუთითებს საზოგადოებრივი განწყობაც –ამომრჩეველთა მრავალათასიანი, ხშირად, გრანდიოზული მასშტაბის შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან.

რაც ახლა ვთქვი, ეს ჩემი, საქართველოს ერთი უპარტიო ამომრჩევლის მოკრძალებული აზრია. სხვა აზრი აქვს, მაგალითად, საპრემიერმინისტროდ გამზადებულ გიორგი ვაშაძეს: „დამთავრებულია, ხალხო - „ოცნებას“ გადაუსვა ხაზი ცივილიზებულმა სამყარომ, არავინ აპირებს არც ივანიშვილთან, არც კობახიძესთან საუბარს. დადგა დრო, ჩვენც დავამთავროთ ამ ძალასთან ურთიერთობა“.

მართალია, ამ ძალიან ღრმად პატივცემულ პოლიტიკოსს ჯერ არ უთქვამს, ეს „ჩვენ“ ვინ არის, მაგრამ, იმედია, 26 ოქტომბრამდე ამასაც გაგვიმხელს. აღარაფერს ვამბობ მელია-გვარამიას, ელისაშვილ-ხაზარაძის, ხაგე-ბოკუჩავას, გირჩების თუ გახარიას... უეჭველ გამარჯვებაზე.

მე და ჩემისთანები მოუთმენლად ველით სადღაც შვეიცარიის მთებში, უპაცრავად, შვეიცარიის ბანკებში დახვავებულ მილიარდებს, ხაგეს ან ვაშაძის გამარჯვებისთანავე საქართველოში რომ გადმოზვავდება. მხოლოდ ეს მაშფოთებს, როგორ უნდა გაინაწილოს ხელისუფლება ერთბაგად ამდენმა გამარჯვებულმა. სხვათა შორის, იოლი არც იმ მილიარდების გადანაწილება იქნება.

ანტიოცნებისტებმა, მგონი, მაინც „გირჩის“ გამარჯვებაზე უნდა ვიოცნებოთ– „ოცნებისგან“ უპატრონოდ მიტოვებულ მინდორ-ველებს, ტყეებს, მთა-გორებს და მდინარეებს დაგირიგებთო, ყოველდღე რომ გვპირდება.

აი, მართლმორწმუნე ნაცების იმედი კი, ალბათ, არ უნდა გვქონდეს: ჯერ ერთი, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე მიშას უცხოეთში გახიზვნაზე ზრუნავენ (უმისოდ რა გვეშველება!); და, რაც მთავარია, ამომრჩევლებისადმი მათი ერთადერთი დაპირებაა, იმ მოღალატე „ქართულ ოცნებას“, არჩევნების შედეგების გაყალბების ელექტრონული სისტემა რომ უკვე შემუშავებული აქვს, მიწის პირისაგან ავღგვიო.

ირონია იქით იყოს და, „ქართული ოცნება“ და მისი მხარდამჭერების ნაწილი ნაცების მუქარამ, მგონი, მართლა ჩააფიქრა. ვგულისხმობ, არჩევნების წინა დღეებში „ოცნების“ ლიდერებისა (მათ შორის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის) და ბევრი სხვა ავტორიტეტული პერსონის განცხადებებს „კოლექტიური ნაცმოძრაობის“, როგორც დამნაშავე პოლიტიკური პარტიის, აკრძალვა-გასამართლებაზე. მეტიც, გაისმა მოწოდებები ამ პარტიის მხარდამჭერების დასჯისკენაც. ამის ისტორიულ მაგალითად მოშველიებულია გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გასამართლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945-1946 წლებში.

მე ვეკუთვნი ქართველი საზოგადოების იმ ნაწილს, ვის თვალწინ და ვის ზურგზეადაც გადაიარა სააკაშვილის უსასტიკესი რეჟიმის ყველა უმსგავსობამ; ვინც სააკაშვილის ხელისუფლებაში მისვლის პირველი დღიდანვე იბრძოდა ამ რეჟიმის წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ ფართო საზოგადოებისათვის, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, ნაცმოძრაობის დანაშაულების შესახებ უამრავი ჯერ კიდევ უცნობი ფაქტი გახმაურდება; რომ ყოფილი ნაცლიდერები მართლაც იმსახურებენ გასამართლებას ჩადენილი კონკრეტული დანაშაულების გამო.

სავსებით ვეთანხმები ცნობილი და მრავლისმნახველი ქართველი ანალიტიკოსების (ვატო შაქარაშვილი, ნანა კაკაბაძე, ლევან ნიკოლაიშვილი, გელა ნიკოლაიშვილი, ბიძინა გიორგობიანი, ედიშერ გვენეტაძე...) საჯარო განცხადებებს ყოფილი ნაცლიდერების ბნელი საქმეების გამომზეურებისა და მათი დასჯის თაობაზე.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ „ოცნების“ ლიდერებმა, ავტორიტეტულმა პოლიტიკოსებმა, ანალიტიკოსებმა თავიანთ საჯარო გამოსვლებში უკვე ბევრჯერ ხაზი გაუსვეს, რომ ნაცმოძრაობის, როგორც დამნაშავე პოლიტიკური პარტიის გასამართლება და აკრძალვა არ ნიშნავს კერძო პირების დასჯას.

ცოტა უცნაურად გამოიყურება, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში არ წყდება საუბრები, ერთი მხრივ, სააკაშვილის პარტიისა და მისი მხარდამჭერების გასამართლება-დასჯაზე, მეორე მხრივ, ამ ღონისძიების სიმბოლურობაზე.

აღარაფერს ვამბობ თავად კოლექტიურ ნაცმოძრაობაზე, რომელიც სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტს და მმართველი პარტიის წინასაარჩევნო დანაქადის სათავისოდ გამოყენებას ცდილობს. და არცთუ უსაფუძვლოდ-სრული წარუმატებლობის შემთხვევაში იტყვის, რომ მმართველმა პარტიამ მისი მომხრეები დააშინა; თუნდაც სიმბოლური წარმატების შემთხვევაში ქვეყანას შესძრავს, რომ მმართველმა პარტიამ მისი მომხრეების დაშინება ვერ მოახერხა!

იმის თქმა მინდა, რომ ამ კამპანიის წამოწყებით მმართველმა პარტიამ, ნებით თუ უნებლიეთ, წყალი პოლიტიკური ოპონენტებისა და მათი უცხოელი მხარდამჭერების წისქვილზე მიუშვა!

კიდევ ერთხელ გავიმეორებ - თავისი ბინძური „მოღვაწეობიდან“ გამომდინარე, პარტია ნაცმოძრაობა, მისი იდეოლოგები და შემსრულებლები სასჯელს ნამდვილად იმსახურებენ, მაგრამ...

მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელთა გათვალისწინებით ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნისა და თვით გამსამართლებლისთვის სასიკეთო ვერ იქნება.

დავიწყოთ იმით, რომ თითქმის ოთხმოცი წლის წინათ გერმანული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გასამართლება ქართული ერთიანი ნაციონალური პარტიის გასამართლების საფუძვლად და გასამართლებლად ვერ გამოდგება. საქმე ის არის, რომ გერმანული ფაშისტური პარტია გაასამართლეს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი მანამდე უმაგალითო დანაშაულებისთვის - უსასტიკესი დიქტატორული რეჟიმის შექმნა, ეზრაელი ერის გენოციდი, მსოფლიო ომის წამოწყება, ათეული მილიონობით ადამიანის განადგურება, მსოფლიო ეკონომიკის კოლაფსი...

რაც მთავარია, გერმანული ნაცისტური პარტია გაასამართლა (ე.წ. ნიურნბერგის პროცესი) საერთაშორისო სასამართლომ, უფრო ზუსტად, სპეციალურად ამ მიზნით 1945 წლის 8 აგვისტოს შექმნილმა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გარემ იმასაც ვიტყვი, რომ ამ მართლაც ისტორიულ პროცესში მონაწილეობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მწერალი მიხეილ კვესელავა, რომელმაც ამ მოვლენას შესანიშნავი ნაშრომიც უძღვნა.

მიკერძოებაში რომ არ ჩამეთვალოს, გარემ იმასაც ვიტყვი, რომ 1946 წლის იანვარში შეიქმნა ანალოგიური სამხედრო ტრიბუნალი შორეული აღმოსავლეთისათვის უკვე 11 სახელმწიფოს მონაწილეობით (ტოკიოს პროცესი): აშშ, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, კანადა, ავსტრალია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ინდოეთი, ახალი ზელანდია, ფილიპინები. გუნებრივია, ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა იაპონური ნაციზმი და მისი ლიდერები გაასამართლა.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, მსგავსი რამ მსოფლიო ისტორიაში აღარ განმეორებულა.

ქართული ნაცმოძრაობის უმანკოებას არ ვამტკიცებ, მაგრამ, ვფიქრობ, მის მიერ ჩადენილი დანაშაულები „თბილისის პროცესის“ შექმნას არ იმსახურებს.

გერმანული და იაპონური ნაციზმი გასამართლდა ერთსულოვანი საერთაშორისო გადაწყვეტილებით. მშობლიური ქართული ნაციზმი კი, მოგვწონს ეს თუ არა, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთსულოვანი საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოცემულობაა დღეისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში მსგავსი პროცესის წამოწყება იქნება უპირობო ხელშეწყობა ქართული ნაციზმის გაცოცხლებისა და მისი ლიდერის, სააკაშვილის ხელახალი პოლიტიკური აღზევებისთვის. განსაკუთრებით, თუ აკრძალვა-გასამართლება, ზოგადად, ნაცპარტიაზე გავრცელდება.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ – ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესები გაიმართა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, როცა გერმანულ-იაპონური ნაცისტური დანაშაულები კაცობრიობას ჯერ კიდევ ხელის გულზე ედო. ჩვენ კი მშობლიური ნაციზმის გასამართლებას ვაპირებთ ხელისუფლებიდან მისი ჩამოშორებიდან 12 წლის შემდეგ, როცა ბევრი რამ უკვე დავიწყებულია, როცა ახალმა თაობამ ამ დანაშაულების შესახებ ბევრი არაფერი იცის.

ახლა უფრო კონკრეტულად.

უკვე ვთქვი, რომ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თუნდაც სიმბოლურ გასამართლებას დღეისათვის აზრი არა აქვს. თუ, რა თქმა უნდა, მისი გაცოცხლება არ გვინდა. თუ საუბარი კერძო პირებზეა, სააკაშვილი კარგა ხანია ციხეში ზის და მისი სასამართლო პროცესი დღემდე გრძელდება. მერაბიშვილი, კეზერაშვილი, მელია, უგულავა, გვარამია, კოდუა, ადეიშვილი, საყვარელიძე, ძმები ახალაიები და ბევრი სხვა უკვე გასამართლებულია. თინა ბოკუჩავას, სოფო ჯაფარიძის, სოფო ნიუარაძის, მეგი გოცირიძის, ლიზა იასკოს, ხაგეს ან გია ბარამიძის დასჯა სააკაშვილისადმი მათი უთავბოლო და უთავმოყვარეო სიყვარულის გამო, უბრალოდ, შეუძლებელია!!!

და რაც მთავარია - არ ვიცი, უფიქრია თუ არა ვინმეს ამაზე, მაგრამ ჩემი აზრით, არჩევნების შემდეგ დასჯა-აკრძალვის კამპანიის წამოწყება ქვეყანას ტოტალიტარიზმისკენ მიმავალ გზაზე დააყენებს.

ეს არის ის უდიდესი საფრთხე, რომელიც შეიძლება ევროპულ დემოკრატიზმზე მეოცნებე საქართველოს დაემუქროს.

თეიმურაზ ქორიძე
20. 10. 2024

იასონ ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩა და სკვერი

სეზ-ის ინიციატივითა და თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით, ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის მიმდებარე ქუჩასა და სკვერს საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველის იასონ ლორთქიფანიძის სახელი მიენიჭა.

შესაბამისად, უკვე დღეიდან საკასო ცენტრის ახალი მისამართია – თბილისი, იასონ ლორთქიფანიძის ქუჩა N2 (ნაცვლად კახეთის გზატკეცილი N72).

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე, თბილისის საკრებულოს წევრები და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ აღნიშნა, ეროვნულ ბანკში მოხარულები არიან, რომ იასონ ლორთქიფანიძის ღვაწლის დაფასების შესაძლებლობა მიეცათ.

„იასონ ლორთქიფანიძეს უდიდესი ღვაწლი აქვს საქართველოს საფინანსო სექტორის განვითარებაში და თანამედროვე საქართველოს ჩამოყალიბებაში და მოხარულები ვართ, რომ დღეს მოგვეცა საშუალება, ამ მცირე ნაბიჯით დავაფასოთ მისი ღვაწლი. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი თანამოქალაქეებისთვისაც სასიამოვნო სიახლე იქნება“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის თქმით, სიმბოლურია, რომ იასონ ლორთქიფანიძის სახელი სწორედ ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის მიმდებარე ქუჩას ეწოდა.

იასონ ლორთქიფანიძე 1919-1921 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველი. მისი წვლილი განსაკუთრებულია არა მხოლოდ ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბების, არამედ სხვა არაერთ ეროვნულ საქმეში – ის იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი; სათავეში ედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი კომისიის წევრი; მისი თაოსნობით, განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის ადგილსამყოფელი მოიძიეს. ის ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმაა.

წელსვე თბილისში ანტონ ფურცელაძის N12-ში იასონ ლორთქიფანიძის მემორიალური დაფა გაიხსნა.

კიდევ ერთი ახალი შიდასაუბნო სივრცე

რუსთავში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით კიდევ ერთი ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

მე-7 მიკრორაიონში, N12 და N15 კორპუსების მიმდებარედ, ახალი მულტიფუნქციური სკვერი რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ მოსახლეობასთან ერთად გახსნა.

„ბედნიერები ვართ, რომ კიდევ ერთი წარმატებული პროექტი დაასრულა რუსთავის მერიის გუნდმა. აქ სკვერის მშენებლობა, პირველივე დღიდან მოსახლეობასთან ერთად დავგეგმეთ. სწორედ მათი სურვილების გათვალისწინებით და ჩართულობით დაიგეგმა და შესრულდა ეს პროექტი. პირველად, შიდასაუბნო სივრცეში, სწორედ აქ განთავსდა რუსთავის მოქანდაკეთა სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი სკულპტურა, რომელიც ოჯახის სიძლიერეს განასახიერებს“, – განაცხადა ნინო ლაცაბიძემ.

ღონისძიებას პარლამენტარები ირაკლი შატაკიშვილი და ალექსანდრე დალაქიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად დაესწრნენ.

რუსთავის მერიამ სკვერის მოწყობის სამუშაოები მოსახლეობის თხოვნით და მათი უშუალო ჩართულობით ერთი თვის წინ დაიწყო.

რუსთავის მერიის ინფორმაციით, რეკრეაციულ სივრცეში, დაწნეხილი ბეტონის ფილებით მოპირკეთებული საფეხმავლო ბილიკები, საბავშვო ატრაქციონები და მწვანე დასასვენებელი ზონები მოეწყო. ახალ მწვანე სივრცეში განთავსდა რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი ქანდაკება „ოჯახი“, რომლის ავტორი ახალგაზრდა ხელოვანი რატი ჯიქიაა.

,,მზისკარი“ — მნიშვნელოვანი პროექტი რეგიონებისთვის!

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი პროექტის „მზისკარის“ მნიშვნელობაზე საუბრობს პროექტის მონაწილე, „ტაბერნე გურიაში–აცანას“ დამფუძნებელი კესო მახარაძე.

„ტაბერნე გურიაში–აცანა“ საოჯახო კვების ობიექტია, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში მდებარეობს.

„პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, ვინც ჩამოაყალიბა „მზისკარი“და შეგვარჩია ბენეფიციარები. „მზისკარი” ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია რეგიონებისთვის, ტურიზმის განვითარებისთვის და გასტრონომიული კუთხით განსაკუთრებული ხაზია, რომელიც საქართველოს რეგიონებს გამოარჩევს, რაც აინტერესებს უცხოელ ვიზიტორებს ადგილობრივთან ერთად. მინდა გითხრათ, რომ ტურისტული ლოკაციებისთვის და ასეთი ტურისტული ობიექტების მფლობელებისთვის ეს პროექტი ერთგვარი ფუფუნებაა, ამიტომ ჩვენ სხვადასხვა მიმართულებით მივიღეთ მაღალი პროფესიონალური კონსულტაციები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისთვის“, – აცხადებს კესო მახარაძე.

„მზისკარი“ ოჯახური გასტრო-მასპინძლობის ქსელია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ ეტაპზე „მზისკარის“ ქსელში 8 ობიექტია გაერთიანებული.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალი, ნიშური შეთავაზების განვითარებას გასტრო-ტურიზმის მიმართულებით და ქვეყნის მასშტაბით გააერთიანოს ისეთი მასპინძელი ოჯახები, რომლებიც სტუმრებს, რეგიონისთვის დამახასიათებელი კერძების გარდა, სთავაზობენ ავთენტურ, ოჯახურ გარემოში, ადგილობრივი სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციების გაცნობას; კერძის მომზადების პროცესში მონაწილეობასა და გასტრონომიულ ინტერპრეტაციას.

ოქროს მედლები — ქართველ სამხედროებს!

საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების სარდლობის სამხედრო მოსამსახურეები დიდი ბრიტანეთიდან ოქროს მედლებით დაბრუნდნენ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა უელსში გამართულ სამხედრო შეჯიბრებაში **Cambrian Patrol** 2024 წარმატებით იასპარეზეს და 35 ქვეყანას შორის საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

„სამხედრო მოსამსახურეებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თავდაცვის სპეციალური ოპერაციების სარდალი პოლკოვნიკი თეიმურაზ ყლატეიშვილი და სპეციალური ოპერაციების სარდლობის წარმომადგენლები დახვდნენ. მათ **Cambrian Patrol** 2024-ში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებს გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

ბრიტანეთის არმიის ორგანიზებით სწავლება **Cambrian Patrol** 1959 წლიდან რეგულარულად ტარდება. მის მიზანს სადაზვერვო რაზმების ოპერატიული შესაძლებლობების გაზრდა წარმოადგენს. სამხედრო სწავლება **Cambrian Patrol** ცნობილია, როგორც სამხედრო ქვედანაყოფების გამძლეობის შესამოწმებელი ურთულესი გამოცდა. ყოველწლიურ წვრთნებს უელსის 160-ე ქვეითი ბრიგადა ხელმძღვანელობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ბათუმში ფესტივალი „განდაგანა“ გელოდებათ

24-25 ოქტომბერს, ბათუმი სოფლის ტურიზმის ფესტივალს „განდაგანას“ უმასპინძლებს. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

„ფესტივალი ტრადიციულად საშემოდგომო დეკორაციებით გაფორმებულ ევროპის მოედანზე გაიმართება. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ექნებათ, ორი დღის განმავლობაში ქალაქიდან გაუსვლელად აჭარულ სოფლებში იმოგზაურონ, დააგემოვნონ აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი კერძები, გაეცნონ აჭარულ ტრადიციებსა და კულტურას. გასული წლის მსგავსად, წელსაც მთავარი აქცენტი აჭარული სამზარეულოსა და ხალხური რეწვის დარგების წარმოჩენაზე გაკეთდება. მოეწყობა სპეციალური კვების კუთხე, სადაც აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელ კერძებს მოამზადებენ, ჩატარდება მასტერკლასები და კულინარიული შეჯიბრებები.

ულამაზესი დეკორაციებით გაფორმდება აჭარული რეწვის სივრცეც, რომელსაც წელსაც „გარდენია შევარდნაძე“-ს დამფუძნებელი ზურაბ შევარდნაძე წარმოაჩენს. ფესტივალის სტუმრების განწყობაზე ადგილობრივ ფოლკლორულ ჯგუფებთან ერთად მოწვეული ბენდები და მუსიკალური შემსრულებლები იზრუნებენ. სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდგანა“ 2015 წლიდან, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით იმართება. მისი მიზანი აჭარული სოფლების პოპულარიზაცია, წარმოჩენა და სოფლად ტურისტების მოგზაურობის სტიმულირებაა“, – წერია ინფორმაციაში.

◎ ახალი სისხლი

საკადრისი კადრები

არნახული სეზონი ჰაერიდან არ მოსულა და, როგორც თითოეული მიღწევა, ქართული სპორტის წლევანდელი ტრიუმფიც შესაბამისი სამინისტროს, ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხანგრძლივი წარმატებული მოღვაწეობის ლოგიკური შედეგია.

როცა ვარსკვლავთა შორის ყველაზე კაშკაშა თანამემამულე ვარსკვლავთა ისტორიულ გამარჯვებებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, სათანადო პატივი უნდა მივაგოთ ღირსეულ ლიდერებს, რომელთა ძალისხმევასაც ჩვენს ათლეტთა უპრეცედენტო ზაფხული უკავშირდება, მათ შორის კი განსაკუთრებულად გამოიყურება ქალბატონი **თეა ნულუჯიანის** შთამბეჭდავი როლი.

როგორც მოგეხსენებათ, იგი აქამდე ერთადერთი მაღალჩინოსანი ბრძანდებოდა, ვინც „ქართული ოცნების“ თორმეტწლიანი მმართველობის პერიოდში უცვლელად ინარჩუნებდა წამყვან თანამდებობებს ჯერ 8 წლის განმავლობაში იუსტიციის, ხოლო სამწლინახევრის მანძილზე არანაკლებ პრიორიტეტული მიმართულების-კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის უწყებებში, სადაც გამორჩეული რეფორმები გაატარა.

ალბათ, ამიტომაც გაუკვირდა ბევრს „რკინის ლედისგან“ პროფილის შეცვლა და მისი საარჩევნო სიაში ხილვა, თუმცა, მეორეს მხრივ, ადვილად ასახსნელია მოახლოებული რეფერენდუმის ტოლფასი არჩევნების წინ ასეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურით სამთავრობო პარტიის საპარლამენტო გუნდის გაძლიერება, მით უმეტეს მაშინ, როცა უსამშობლოთა კასტასთან ხისტი ბრძოლის ძვირფასი გამოცდილება დაუგროვდა.

სხვათა შორის, ოპოზიციის რისხვის მეორე ფრონტზე გადანაცვლებას დარგობრივი სიახლე მოჰყვა, რაც კულტურისა და სპორტის, უკვე მერამდენედ, გაყოფასა და, თითოეულის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ცალ-ცალკე სტრუქტურულად ჩამოყალიბებაში გამოიხატა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამიერიდან ორივეს წინამორბედის ღირსეული მემკვიდრე გაუძღვება პროფესიონალი კადრების – **თინათინ რუხაძისა** და **შალვა გოგოლაძის** სახით, თუმცა დროებით, მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირებამდე, ისინი ისევ გაერთიანებული უწყების, შესაბამისად, მინისტრი და მისი მოადგილე იქნებიან.

ზემოთ ტრადიციულ გაყრა-შეერთებას გავუსვით ხაზი, რადგან სპორტი ხან ძეგლთა დაცვას შეუწყვილეს, ხან ახალგაზრდობას და ხანაც დეპარტამენტამდე დააქვეითეს, კულტურაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ისე, ჩვენთვის გამსხვილების პროცესი ჩვეულებრივი ამბავი რომ გახლავთ, შემდეგი ჰარმონიული თანაცხოვრების ფაქტები მოწმობს: სოფლის მეურნეობა და ბუნების დაცვა; ინფრასტრუქტურა და მდგრადი განვითარება; განათლება და მეცნიერება, და მთლად სარეკორდო ოთხთავი; ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, შრომისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა სამინისტროები.

თითქოს ოფიციოზის წყალი გადაესხაო, საკადრო ცვლილება დაანონსდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაშიც. კერძოდ, ვინაიდან მის თავკაცს **მიხეილ აბაიშვილს** მეორე საპრეზიდენტი ვადა ეწურება, „ბირ თაიმში“ გამართულ **გიგა გვენცაძის** წიგნის „მიდის სანახავად“ პრეზენტაციაზე, რომელიც „ლიდერსპორტის“ ხელშეწყობით გამოიცა, ახალი ხელმძღვანელობის სავარაუდო კანდიდატად სწორედ პოპულარული ტელეკომენტატორი დასახელდა.

რომ იტყვიან, ალაალია!

საღარბაზო ბარათი!

შალვა გოგოლაძე დაიბადა ბორჯომში 1979 წლის 15 მარტს

დაამთავრა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია 2000 წელს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 2005 წელს. 2005 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სერტიფიცირებული ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი; 2001-2005წწ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო, სპეციალისტი; 2005-2007წწ. იურიდიული კომპანია “მამალაძე და პარტნიორები”, ადვოკატი; 2007-2009წწ. იურიდიული კომპანია “გოგოლაძე და პარტნიორები”, მმართველი დირექტორი; 2009-2011წწ. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სსიპ “სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი”, დირექტორი; 2011-2014წწ. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ “საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი”, დირექტორი; 2014-2015წწ. ქალაქ თბილისის მერიის განთლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სამსახურის უფროსის მოადგილე; 2015 წლის თებერვლიდან მაისამდე–სპორტული კომპლექსი “არენა 1”, “არენა 2”, კომერციული დირექტორი; 2015 წელს–სამშენებლო კომპანია “არენამშენი”, დირექტორი; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე.

სამცხე-ჯავახეთის კრივის რეგიონული ფედერაცია, პრეზიდენტი (2007-)

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გამგეობა, გამგეობის წევრი, ვიცე- პრეზიდენტი (2006-)

◎ ლეგიონერები

გოლებიც, პასებიც

სანაპრებო პაუზის შემდეგ ქართველი ლეგიონერები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ და მეტნაკლებად წარმატებით ითამაშეს.

განსაკუთრებით ივაუკაცა **ოთარ კიტეიშვილმა,** რომელმაც კაპიტნის სამკლაურით და ავსტრიის შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის რანგში შინ გრაცერთან დუბლი შეასრულა და 10 ტურში პირადი მონაგარი 5 გატანილ ბურთამდე გაზარდა-5:2, მისი გუნდი კი ლიდერობას ინარჩუნებს. შეგახსენებთ, რომ შტურმი მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელია, ჩემპიონთა ლიგაში კი ჯერჯერობით უქულოდ ასპარეზობს და დღეს ლისაბონის სპორტინგს უმასპინძლებს.

რაც შეეხება ალპური რესპუბლიკის ბუნდესლიგას, 27 ოქტომბერს გრაცელები ლინცში ლასკ-ს ეწვევიან.

ლიდერთა ჯგუფი: შტურმი-22, რაპიდი-19, ზალცბურგი-16 ქულა.

კვლავ გვაოცებს შედეგიანობით ბოსნიის პირველობის ბომბარდირი **გიორგი გულიაშვილი,** რომელმაც მეორეადგილოსან სარაევოს მაისურით ველეჟ მოსტარის ყოფილ პარტნიორებს 1 ბურთიც გაუტანა და 2 საგოლე გადაცემაც მიითვალა-4:0. 9 შეხვედრაში 9 გოლი-ასეთია მისი ნადავლი და ვიმედოვნებთ, ეროვნულ ნაკრებშიც მიეცემა შანსი.

ტოპ-5-ის ქვეყნებში გუშინდელი სათამაშო დღე იტალიის სერია-ა-ში გამართული ქართული დერბით გაიხსნა, რომელშიც თბილისის დინამოში აღზრდილ-დაოსტატებული მეგობრები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

უნდა ითქვას, რომ ნაპოლის საკმაოდ გაუჭირდა ლობიტკას გარეშე რგოლებს შორის განწყვეტილი კავშირის აღდგენა, თუმცა პოლიტანოს მოპოვებული პენალტითა და **ჰვარაცხელიას** მიერ სეზონში გატანილი მე-4 ბურთით მაინც მოიგო-1:0 და ლიდერობა შეინარჩუნა 19 ქულით. ეს მისი პირველი გოლია ემპოლის კარში, **საბა გოგლიჩიძე** კი მასპინძელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. 26-ში ნაპოლი ლეჩეს მიიღებს.

◎ ევროლიგა

კრიზისი გრძელდება

მაინც, ვინ დათარსა ვირტუსი? შარშანდელ ევროლიგაში შესანიშნავი სტარტიდან მოყოლებული, იტალიური გრანდი ტრავმების ეპიდემიამ რიტმიდან ამოაგდო და ეს კრიზისი დღემდე გრძელდება სერია-ა-ში ცალკეული გამონათებების მიუხედავად, რამაც წლევანდელი სეზონის სუპერთასზე ტრადიციულ მეტოქესთან-მილანოსთან მარცხიც დაიტია.

რაც შეეხება გოლონიელთა ქართველ ლიდერს – **თორნიკე შენგელიას,** მოახლოებული სანაკრებო ფანჯრის წინ ჩვენი გუნდის კაპიტანი ბრწყინვალედ გამოიყურება, მაგრამ პარტნიორები ვერც ამჯერად უბამენ ღირსეულად მხარს, რამაც ყველაზე პრესტიჟულ კონტინენტურ საკლუბო ტურნირში ლუკა განკის შეგირდთა ზედიზედ მეოთხე წაგება განაპირობა.

მონაკო-ვირტუსი 101:85 (46:47). შენგელია-17 ქულა. 5 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა.

შეგახსენებთ, რომ მასპინძელთა თავკაცს საშა ობრადოვიჩს ასისტენტობას **მანუჩარ მარკოიშვილი** უწევს, მეორე ტაიმში სტუმართა დაჩოქებაში კი დიდი წვლილი შეიტანეს ჯეიმსმა, ოკობომ, ბრაუნმა, დრეზელმა, ლოიდმა, ჯეიტემ და მატეიუნასმა.

◎ გვიმრავლოს!

სამტრედიაში კახა კალაძის სახელობის საფეხბურთო ცენტრი გაიხსნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ სამტრედიაში კახა კალაძის სახელობის საფეხბურთო ცენტრის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

მთავრობის მეთაურმა სამტრედიელებს საფეხბურთო კომპლექსის გახსნა მიულოცა.

„ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა შეიქმნა სამტრედიაში, სადაც ბავშვებს ექნებათ განვითარების და სპორტულ მიღწევებზე ზრუნვის საშუალება. ჩვენ გამორჩეულად ნიჭიერი ხალხი ვართ, გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვები გვყავს და დარწმუნებული ვარ, ამ სტადიონზე კიდევ ბევრი ჩემპიონი გაიზრდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კახა კალაძის სახელს ატარებს ეს სტადიონი. კახა კალაძე არის არა მარტო სამტრედიის სიამაყე, სრულიად საქართველოს სიამაყეა. ის არის ყველაზე წარმატებული, ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელი. მან შექმნა ტრადიციები, რომლებსაც გაგრძელება სჭირდება და ეს სტადიონი ამისთვის საუკეთესო საშუალებას შექმნის. მადლობა კახა კალაძეს ამ არაჩვეულებრივი ინიციატივისთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ფედერაციის პრეზიდენტს **ლევან კობიაშვილს,** ასევე, **FIFA**-სა და **UEFA**-ს პროექტის მხარდაჭერისთვის და პროექტის განხორციელებაში ჩართულ ყველა ადამიანს.

სამტრედიის საფეხბურთო ცენტრში მოეწყო სტანდარტული ზომის ორი ხელოვნურსაფარიანი მოედანი განათებით და 200 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნით, ასევე აშენდა ადმინისტრაციული შენობა. ახალი საფეხბურთო ცენტრის გახსნის ღონისძიებაში თბილისის მერი კახა კალაძე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, **FIFA**-სა და **UEFA**-ს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეზე მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გაიხსნა

საქართველოს პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ უწყებებთან საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც ასევე ჩართულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმეზე, მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა. ამის შესახებ პროკურატურაში აცხადებენ.

როგორც უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განმარტეს, ორგანიზებული ჯგუფის მიერ თაღლითობის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე დაკავებულია 4 პირი.

„ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა თბილისის ერთ-ერთ უბანში მოაწყვეს ე.წ. ქოლ-ცენტრი, სადაც დაასაქმეს უცხო ენების მცოდნე ოპერატორები და შესაბამისი მიმართულებების კურატორი მენეჯერები. ოპერატორები, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით უკავშირდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს და სთავაზობდნენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტების და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

ქოლ-ცენტრის თანამშრომლები მომხმარებლებს არწმუნებდნენ, რომ მათი დახმარებით შეძლებდნენ სოლიდური მოგების მიღებას. რეალურად კი, დაზარალებულთა მიერ ინვესტიციისათვის გამოყოფილ ფულად თანხებს თაღლითურად ეუფლებოდნენ. დაზარალებულთა მხრიდან დაბანდებული თანხისა და მოგების დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, წყვეტდნენ მათთან ყოველგვარ კომუნიკაციას.

ამ ფორმით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მოტყუებით დაეუფლნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები პირების კუთვნილ 1 634 000 აშშ დოლარს და 1 მილიონ ევროს.

საზღვარგარეთ, ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე და კრიპტოსაფულეებზე აკუმულირებული, უკანონოდ მოპოვებული ზემოაღნიშნული აქტივებისათვის კანონიერი სახის მისაცემად, ორგანიზებული ჯგუფის წევრები, მრავალჯერადი ტრანზაქციებით და ფიქტიური დანიშნულებებით რიცხავდნენ დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონტროლირებად სხვადასხვა საბანკო და კრიპტო ანგარიშებზე, მათ შორის საქართველოში. დანაშაულებრივი წარმომავლობის შენიღბვის შემდგომ კი ახდენდნენ მათ ინვესტირებას უძრავ-მოძრავ ქონებაში.

გამოძიების მიერ, მოსამართლის შესაბამისი განჩინების საფუძველზე, დაყადაღებულია ბრალდებულების და მათთან დაკავშირებული პირების საკუთრებაში არსებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხა დაახლოებით მილიონ-ნახევარი ამერიკული დოლარისა და ნახევარი მილიონი ევროს ოდენობით.

ბრალდებულთა კუთვნილი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ჯამში 240 000 ამერიკული დოლარის ღირებულების სხვადასხვა კრიპტოვალუტა, 400 000 დოლარამდე ფულადი თანხა და ძვირად ღირებული ნივთები. ასევე ერთ-ერთი ორგანიზატორის საბანკო სეიფის ჩხრეკისას ამოღებულია 1 000 000 ამერიკული დოლარი.

ზემოაღნიშნული სავარაუდო დანაშაულებრივი წარმომავლობის მქონე ქონების ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, პროკურატურა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს პროკურატურამ ბოლო წლებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის და ფულის გათეთრების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმიანობაში ჩართული ჯამში 100 ფიზიკური და 7 იურიდიული პირის მიმართ დაიწყო. დაზარალებულად ცნობილია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ასეულობით მოქალაქე, რომელთა ზიანის საერთო ოდენობა 40 მილიონამდე ლარს შეადგენს. ასევე, ყადაღა დადებულია სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ აქტივებზე, რომელთა ღირებულება 100 მილიონ ლარს აღემატება.

საქართველოს პროკურატურა საზოგადოებას მოუწოდებს, არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია თაღლითური ქოლ-ცენტრების შესაძლო ფუნქციონირების შესახებ, როგორც ცხელი ხაზის – 2 405 222, ასევე საქართველოს პროკურატურის Facebook-ის, ვებგვერდის ან მათთვის ხელსაყრელი ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, რათა საზოგადოების ჩართულობით უფრო მეტად ეფექტიანი გახდეს დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირების გამოვლენა და მათ მიმართ სათანადო სამართლებრივი ზომების გატარება".

სიღნაღის გალავანი კენჭებით არის ნაშენები...

ამ ადგილას თავის დროზე შენობა იდგა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო მიტოვებული და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფონდ „ქართუს" და „სმარტ კაპიტალს" იმისთვის, რომ ეს მართლაც უნიკალური პრო-

ექტი განახორციელეს და საქართველოს და საქართველოს სტუმრებს აჩუქეს ცივგომბორის ყველაზე ლამაზი ხედი ალაზნის ველზე, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა სიღნაღში, სასტუმრო „ბოდბეს" გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

„ის განვითარება, რაც ჩვენს ქვეყანას ბოლო წლებში აქვს, სწორედ ეს არის შედეგი იმ დათესილი მარცვლისა, რომელიც 12 წლის წინ დაითესა, როდესაც სახელმწიფომ თქვა, რომ ის მშვიდობით, საკუთარი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და რუდუნებით, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევს შედეგებს. ქიზიყში არის ასეთი გამონათქვამი – **სიღნაღის გალავანი კენჭებით არის ნაშენებიო** და ეს არის იმის სიმბოლო, რომ ყველა დიდი საქმე ნელ-ნელა ნაბიჯ-ნაბიჯ კეთდება, ჩვენ დღეს აქ ჩამოვედით კახეთის ახალი ავტობანით, რამდენიმე მონაკვეთია უკვე გახსნილი. დღეს ვხსნით ახალ სასტუმროს, რომელიც ასეთ უნიკალურ ადგილზეა, და ეს ყველაფერი არის ის კენჭი, რომელიც დადებულია საქართველოს ეკონომიკური წინსვლის და კეთილდღეობის გალავანში და ასე შენდება წარმატებული სახელმწიფო", – განაცხადა პაპუაშვილმა.

* * *

სიღნაღში სასტუმრო „ბოდბეს" გახსნაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე.

ოკუპირებული აფხაზეთი რადიკალების გამო ენგურის ხიდს დროებით ჩაკეტავს



ოკუპირებული აფხაზეთი საოკუპაციო ხაზთან მოქმედ ე.წ. გამშვებ პუნქტს კეტავს. ასლან ბჟანიას გადაწყვეტილებით, აფხაზეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოძრაობა 23 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით აიკრძალება.

როგორც დე ფაქტო პრეზიდენტის გვერდზე წერია, გადაწყვეტილება „საქართველოში საპარლამენტო არჩევნების პერიოდში რადიკალური ძალების შესაძლო პროვოკაციებს" უკავშირდება. ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, აკრძალვა არ შეეხებათ მათ, ვისაც აფხაზეთში დაბრუნება სურთ.

ე.წ. საზღვრის ჩაკეტვა არ შეეხებათ ენერგეტიკულ კომპანიებს.

ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე...

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით, რიგით მეექვსე ღვინის ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე" თბილისში, მთაწმინდის პარკში გაიმართა, სადაც 50 ღვინის მწარმოებლების პროდუქცია წარმოდგენილი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველა რეგიონიდან იყო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ფესტივალისადმი დიდ ინტერესზე როგორც მონაწილე მარნების, ისე სტუმრების ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა მიუთითებს.

„ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საშუალო და მცირე საოჯახო მარნების განვითარების მხარდაჭერაა. მცირე მარნების სეგმენტი, ბოლო წლებში, აქტიურად ვითარდება. დღეს უკვე ასობით ახალი ღვინის მარანი ფუნქციონირებს, რომლებიც აწარმოებენ გამორჩეული ხარისხის ღვინოს.

ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე" პირველად 2016 წელს ჩატარდა.

მომღერალ ალექსანდრე ზაზარაშვილის ძმა ტრაგიკულად დაიღუპა

20 წლის ნიკა ავტობანზე მომხდარ ავარიას ემსხვერპლა, მას სწრაფად მიმავალი მანქანა დაეჯახა, როცა გზაზე გადადიოდა.

„ძმა დავკარგე. სამუდამოდ ჩემს გულში დარჩები, ნიკა, უკეთეს ცხოვრებას იმსახურებდი, სულ თვალწინ მიტრიალებს მთელი ჩვენი ბავშვობა, არ მჯერა, რომ აღარ ხარ და ალბათ ვერც დავიჯერებ", – წერს ალექსანდრე ფეისბუქზე.

განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2023 წლის 6 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე ვლადიმერ დიმიტრის ძე შინკოს (დაბადებული 1920 წელს, გარდაცვალების მოწმობა N77247005804) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმში, წერეთლის ქუჩა N24-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით) 23/226 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფო სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.

კულტურისა და სპორტის მინისტრად თინათინ რუხაძე დაინიშნა

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის თანამდებობა თინათინ რუხაძემ დაიკავა.

კულტურის ახალი მინისტრი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე წარადგინა.

„მინდა, გაგაცნოთ თინათინ რუხაძის ბიოგრაფიული მონაცემები. 1989 წლიდან ის გახლდათ საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების დირექტორის მოადგილე, კამერული ორკესტრის თბილისის კონცერტინოს დირექტორი, მოგვიანებით იყო ტელეფესტივალ „მანას“ აღმასრულებელი დირექტორი. იყო „თიბისიტვის“ გენერალური პროდიუსერი, ასევე საქტელერადიომაუწყებლობის პროდიუსერთა საბჭოს აპარატის უფროსი და პროდიუსერი, შპს „მელოდი არტის“ დირექტორის მოადგილე და გენერალური პროდიუსერი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის გენერალური დირექტორი, საკრებულოს მრჩეველი განათლებისა და კულტურის საკითხებში. მინდა, მას ვუსურვო წარმატებები ახალ თანამდებობაზე“, – განაცხადა კობახიძემ.

თინათინ რუხაძე ამ დრომდე ეროვნული სასახლის დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

კულტურის მინისტრის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც თეა წულუკიანი „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო სიაში დაასახელა.

ჰოლივუდი თბილისში ფილმს იღებს

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამერიკული ფილმისთვის სამხედრო თემატიკის რამდენიმე სცენის გადაღება იგეგმება.

მხატვრული ფილმის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ეპიზოდის გადასაღებად დედაქალაქის აეროპორტის ძველი ტერმინალის ტერიტორია შეირჩა, სადაც 21-22 ოქტომბერს, ორი დღის განმავლობაში სპეციალური სამხედრო ტექნიკა და სამხედრო ფორმებში ჩაცმული მსახიობები გადაადგილდებიან.

პროექტი სახელმწიფო პროგრამის „გადაიღე საქართველოში” მხარდაჭერით ხორციელდება და მისი საქართველოში დასახარჯი ბიუჯეტი, ჯამში, 13 მლნ ლარს შეადგენს.

ამერიკულ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე ჰოლივუდის მსახიობები, რეჟისორი და კინოოპერატორი მუშაობენ. ფილმის გადაღებების ფარგლებში დასაქმებულია საქართველოს 200-ზე მეტი მოქალაქე.

საქართველოში დაგეგმილი გადაღებები, სხვადასხვა ლოკაციაზე, 36 დღის განმავლობაში გაგრძელდება”.

სტიქია დასავლეთ საქართველოში

ფოთში რამდენიმედღიანმა ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა. უხვი ნალექის შედეგად დაიტბორა ქალაქის რამდენიმე ქუჩა, ეზოები და საცხოვრებელი სახლების სარდაფები.

ზიანი მიადგა საქალაქო ინფრასტრუქტურის ნაწილსაც.

მერიის ინფორმაციით, შესაბამისი სამსახურები ქალაქის სხვადასხვა უბანში არსებულ ვითარებას ადგილზე ეცნობიან.ასევე აქტიურად მუშაობენ სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად.სამუშაოები შემდგომი დღეების განმავლობაშიც გაგრძელდება.

* * *

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ძლიერი წვიმის შედეგად პრობლემები შეიქმნა. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გადაუღებელი წვიმების გამო, რამდენიმე სოფელში მეწყრული პროცესები გააქტიურდა.

საშიშ ზონაში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს.

დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. სოფელ დაგვაში, ასევე დაზიანდა ცენტრალური სასოფლო გზები.

ამ დროისთვის მიმდინარეობს ზარალის აღმოფხვრის პროცესები.

გიორგი გიგაშვილის მორიგი ჯილდო

პიანისტ გიორგი გიგაშვილს გერმანიაში ყოველწლიურ დაჯილდოება-კონკურსზე „Kulturkreis“ როგორც გამარჯვებულს 15.000 ევრო გადაეცა. სოლიდურ ფულად ჯილდოსთან ერთად, გიორგის მიეცა უნიკალური შანსი, მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე დაუკრას.

გვიმრავლოს წარჩინებული მოსწავლეები!

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 335 ახალგაზრდას საჩუქრად კომპიუტერები გადაეცა.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით წარსდგა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე, რომელმაც ახალგაზრდებს მიღწეული წარმატება მიულოცა და მათ პედაგოგებსა და მშობლებს მადლობა გადაუხადა.

დაჯილდოების ცერემონიის ფარგლებში KIU-ს რექტორმა გიორგი ხუციშვილმა საზოგადოებას საბავშვო უნივერსიტეტი წარუდგინა, რომელიც იმერეთის რეგიონის საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-9 – მე-12 კლასების მოსწავლეებს შაბათ-კვირას ლექციებს შესთავაზებს.

სალექციო კურსებს სხვადასხვა შემეცნებითი და სამეცნიერო თემებზე წაიკითხავენ როგორც KIU-ს პროფესორ-მასწავლებლები, ასევე მოწვეული ლექტორები. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, ფორმალურ განათლებასთან ერთად, უმაღლესი განათლების მიმართულებით აიმაღლონ ცნობიერება, რაც დაეხმარება მოსწავლეებს მომავალი პროფესიის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

მოსწავლეთა დაჯილდოების ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე გელა გელაძე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი კუპრავა და იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლევან კიკნაველიძე.

პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები ყოველწლიურად გადაეცემათ. პროგრამის მთავარ მიზანს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება წარმოადგენს. იმერეთის რეგიონში წელს 958 წარჩინებული მოსწავლეა, აქედან ქუთაისში – 335.

ყოველწლიურად კომპიუტერები გადაეცემათ იმ საჯარო სკოლების მოსწავლეებს, რომლებმაც საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარჩინებით დაამთავრეს. გასულ წელს საქართველოს მასშტაბით 4 846 წარჩინებული მოსწავლე იყო, წელს კი – 4 956 მოსწავლეა.

ხის დარგვის დღე ბოტანიკურ ბაღში

„ბოტანიკური ბაღი ხის დარგვის საერთაშორისო დღეს უფასო შემეცნებითი ტურით და ლექციით „ტყის ეკოსისტემები“ უერთდება“, – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

„22 ოქტომბერი ხის დარგვის საერთაშორისო დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით, ბოტანიკურ ბაღში გაიმართება უფასო შემეცნებითი ტური და ლექცია, თემაზე – „ტყის ეკოსისტემები”.

ღონისძიება ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში 22 ოქტომბერს, 15:00 საათზე გაიმართება.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

მისამართი: თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ ე. ბაღდავაძის №3

„კოლორი“ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7157; ევრო - 2.9457;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5426;
100 რუბლი - 2.8185; თურქული ლირა - 0.0792;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5971;
1000 სომხური დრამი - 7.0146.

ამინდი 21 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+0,	დღე	+8
თბილისი:	ღამე	+6,	დღე	+14

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს